

မိဂ္ဂန မာဇာလွဇာဝျှေး





მგინა მარტოლდე

ლირიკა

2015 წელი



ISBN 978-9941-0-7671-8

შეიძლობა

შესანიშნავ პოეტს და მხატვარს მზია მაღალდაძეს 60 წელი შეუსრულდა. აյ დროს და თარიღს აღარ ენიჭება მნიშვნელობა. უფრო მეტად აღსანიშნავია მისი მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს სიღრმე და ჩრდილში მყოფი საზოგადო მოღვაწეობის სფერო. ხაშურში, ამ პატარა, ლამაზ ქალაქში მისი სახით ეროვნებისა და სარწმუნოების განუყოფელი ტაძარი არსებობს. იგი მეტყველებს და ხედავს უფლისმიერი სიცყვით და თვალით და ალაპარაკებს ყველა საგანს, რომელსაც მისი არსებობით ენიჭება დიდი საზოგადოებრივი სამოქალაქო მნიშვნელობა.

მისი სახლის წინ საბათხულო ქოხი დგის, რომელიც წიგნის თაროებითა სავსე. აქვეა დაბალი მაგიდა, ღუმელი და გაბქურა, – ყოველი შეთხვევისთვის სახელდახელო სამზარეულო.

სახლის კედლებზე სხვადასხვა ნახატებია დაკიდული. სარკმელთან რამდენიმე ფუნქცი და ფანქარია, რომელიც მუდმივად გახსენებენ რომ აյ არ არსებობს ხატვის უფრო მეტი საშუალება. მარტო რომ შევიდეთ, მიმოვიხედოთ ირგვლივ, ვიღრე ვიკითხავდეთ იქაურობის პატრონს, მიეცვდებით, რომ იქ მაღალ სულიერებას ნაბიარები განდევნილი ცხოვრობს, თან არა ჩვეულებრივი, არამედ განდევნილი ესთეტის ცხოვრებით, რომელიც მუდმივად უნდა შეეხოს ფუნქს, საწერკალაქს, დაფიქრდეს, გაიხსენოს რაღაც სხვა მაღალი ღირებულების მქონე და განიცადოს ბეადამიანური განცდით.

„მე სახელმწიფო სამსახურმა გამანადგურა, მაგრამ რა ვქნა...“ ხშირად უთქვამს ჩემთვისაც, თან კარგად იცის, რომ დღევანდელ ეპოქაში ცხოვრებისადმი ყურადღების მოღვენება თვითმკვლელობას ნიშნავს.

მჩია მაღალდაძის შესახებ დიდი წიგნი უნდა დაიწეროს, რადგან შეუძლებელია რამდენიმე სიცყვით აღწერო მისგან დახახული სამყარო. მე კი უმჯობესია მისი ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტი გავიხსენო.

გაბატქულის მზიანი დღეა. მეტად უცნაურ პოეტს ლექსების გასაცნობად სახლში ვესტურე. მან მაგიდის უჯრიდან ამოაწყო ნახატების მთელი დასტა. თვითონ მითოვებისათვის ბოლიში მომიხადა და ყავის მომზადებას შეუდგა. ოთახის კუთხეში ნახატებს ვათვალიერებ. ინტერესს იწვევს დახვეწილი გრაფიკის შედევრი უმარტივესი სამხატვრო ტექნიკით ხორცებსმებული, – კვერცხიდან იჩეკება ურჩხული ხვლიკის თავით და დამურას უხეში ფრთხებით.

მჩია მაღალდაძის ხელით შექმნილი შედევრები: „შიშს დიდი თვალები აქეს,” „დედა-შვილობა,” „გამოცხადება” და ა.შ. მრავალი ქმნილება აღამოანთა საჭიროობო საკითხების შემადგენელი ნაწილებია, ისინი ყველას სჭირდება, მათ ყველა თანაბრად გრძნობს და ხედავს. მჩია მაღალდაძის თითოეული მონახაზი არიგებს და აფრთხილებს მასზე გულისყურით მინდობილ მკითხველს.

ნახაგში – „გამოცხადება“ წარმოდგენილია ულამაზესი ქალწული, რომელიც გარს აკრაგს თავისივე სამოსის ფორმის დიდი სინათლე. იგი გვევლინება მორჩილებისა და სათნოების გამომხატველი მმერით. „ყველაფერი გასაგებია, მაგრამ უფრო სრულად როგორ უნდა ავხსნათ?...“ – ვეკითხები ავტორს.

„ეს ანგელობი, – იწყებს და თითქოს მადლობის ნიშნად უდარდელივით იცინის, – როცა ძალიან ცედად ვარ, მფარველივით მომევლინება და მეტყვის, ნუ გეშინაა მზია, ყველაფერი კარგად იქნება, დაისვენება და არაფერზე აღარ იფიქროთ. კარგად ვერ გადმოვეცი. ისე, თვალით დანახული ბევრად უფრო ნათელი და ლამაზია ხოლმე.“

ამ მოგონებების დეტალებიდან ირკვევა, რომ მზია მაღალდაძე არ მიეკუთვნება ხელოვანთა რიცხვს, ის უფრო ბუნების შედევრთა ნათელმხილველია, რომელიც ცხადპყოფს, რომ ხელოვნებას არაფერი არ შეუძლია. მის გრანანტობების და ხილვებს ხელოვანთა საქმე მარჯვე ფორმორაფის პროფესიამდე დაბყავის.

მზია მაღალდაძემ პოეზიაში განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია რიგმსა და ფორმას. მისთვის მთავარია სიტყვა, როგორც ღვთის გამოცხადება. ის თვითონაა პოეზია თავის ყვავილებითან, ხეებთან სახლებთან და მდინარეებთან ერთად, ელაპარაკება ყველას და ყველაფერს და ხალხის ბედნიერების დღესასწაულს ევედრება ბენაარს უფალს. სწორედ ამ ვედრების გამოძახილია ლექსი „ხეები,“ ვაჟისეულად დანახული მთების სათქმელი:

„დგანან ხეები, შიშველ ხელებით
და გაბაფეულის მოსვლას ელიან...
დგანან მხარგაშლით, ახლის იმედით,
ტოტები მზისკენ გაუწვდენიათ...
დგანან ხეები, შიშველ ხელებით
ჟექუნა წვიმას ელოდებიან
და რომ შეეძლოთ, არ დაუცდიან.
სულ ყვავილებად აფეთქდებიან...
დგანან ხეები“ –

დადგა დრო, როცა პოეტი საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობაში მთლიანად უნდა გამორიცხავდეს უხეშ პრაგმატიზმს. მზია მაღალდაძე, როგორც ახალი სტანდარტების შემცველი ლექსების და ნახატების გარეშე თანამედროვეობაში გამოვლენილი სული, ყველაფერში ხედავს სიცოცხლის ნიშანს და საბრიოს. მის სამყაროში გვხვდება მოლოდინით დაღლილი ხე, შეყვარებული წვიმა, ჯავრიანი და დაფიქრებული სახლების წყება, ღუმელი, რომელსაც მყარი სიცოცხლის ფორმით აარსებს რკინა და ცეცხლი, ადამიანივით რომ ათბობს და ესაუბრება ჰუმანურ მფარველს. ცეცხლით ანთებული ღუმელის ირგვლივ სიცოცხლის სული ტრიალებს საერთო გეიმისა და სიხარულის სანთლად.

მზია მაღალდაძე საგანთა და მოვლენათა გამაუკვდავებლად და მხსნელად კი არ გვევლინება, არამედ დიდი ადამიანის ცხოვრების გამო

საჭიროებს გაუკვდავებას. იგი უფლის დიდი შემოქმედების, პოეტური პრობის მთავარი გმირია, მოჩვენებითი სინამდვილით არ ებრძების უმაღლეს პოეტს, მან თითქოს უარპყო ემპირიულ ურთიერთკავშირებში დახვეწილი ხელოვნების ენამზეობა, რადგან სურდა დაუფლებოდა მინდიას ენას და შერისხული სულივით გაჰყვირის თანამელოვეთა თოვლივით ცოვ გვამებს: პერ, კედლებო, წამით მაინც შეინარჩუნეთ ტანზე შეყრილი ცერცვი!

საქაცობრით აგროვნების ისტორიაში ტ. გრანელის მსგავსად ერთხანს მჩია მაღალდაძემაც მიაგნო უმაღლეს მწვერვალს. ფიქრი და განცდა რომელიც პატარა ლექსში - „მიხმობს, მექახის მაღალი ზეცა“ - მჟღავნდება, ფილოსოფიური აგროვნების ყველა მონაპოვარის ცენტრში დგას ისევე, როგორც ამ შეგრძნებიდან იღებს დასაბამს ყველანაირი მეცნიერება და პოეზია:

„მიხმობს, მექახის
მაღალი ზეცა,
და ნერვიული
ქარის გოდება,
გულს შფოთიანი
ეჭვები სწეწავს...
ვუახლოვდები...
მიახლოვდება...“

რადგან სიტყვა ფერმკრთალდება საკუთარ სიტყვებს შეწირული პოეტის წინაშე, ჩვენ გადავგარჩენს არა ლექსთა შემდგომი კონკურსი და ფილოლოგთა მკრეჭელობა, არამედ ლიტისმასტურება. აი, ამას გვეუბნება ჩვენი „მოუწადინებელი“ და ეწ. ლიტერატურული ცხოვრებისაგან თავისუფალი პოეზი.

და ბოლოს, რაც აუცილებლად უნდა ითქვას. მან შექმნა ცხოვრების დიდი შედევრი, შეუდარებელი ფერწერის სახით, რასაც სახელად ჰქვია - „უბრალოება.“

მიხეილ ფუმინაშვილი



გზა ტაძრისაპენ



მომლევს ზეცა კულაპტრიებით...

ლექსი

მე სიმღერის ღროს დავიბადე,
სიმის თრთოლვიდან,
როცა პირველი გაზაფხულის
წვიმა მოვიდა.
მაისის თვეში გავიფურჩქე
და გავიშალე,
თოთო ბავშვით გავუცინე
ზეცის ლურჯ თვალებს.
ზღვის ტალღებიდან ამოვფრინდი
თეთრი თოლია
და უცნაურმა სულის ურჟოლამ
ამიყოლია.
მას შემდეგ ვუმღერ
მზესა და ლაშვარდს,
ზღვას და სიყვარულს
თავზე ვევლები
და ზეცას ვუწვდი
სულის სინათლეს
სუფთა ხელებით.



სარკიდან მიმზერს ჩემი ორეული,
ძალიან ახლობელი და თან შორეული...

— ვინა ხარ?

თვალები სევდამორეული...

— რას ეძებ?

პასუხად — ღიმილი ტკივილმორეული...

— საიდან მოდიხარ?

— ან გვერდში ვინა გყავს?

— არავინ!

— დამშვიდდი, შენ მარტო როდი ხარ...

— ადექ და გამოდი,

გამოდი ჩარჩოდან.

— ჩემკენ ნუ მოდიხარ!

გახედე მომავალს...

— ვინ არის?

მას რაღა აწუხებს ნეტავი?

კ ე ნ ტ ა ვ რ ი?!

ო, ღმერთო! ხედვაა

ძალიან უხეში...

არა და სულს როგორ სწყურია

ნუგეში.

ცხოველებს სადა აქვთ

გრძნობები ამხელა,

გრძნობები დამალე,

არა ღირს გამხელად...

ბეღურას უბეში

ოცნება რამხელა.

ლამაზი მაქმანით

მორთული ფარჩები...

ქალები — წერწეტა,

გართობას ნაჩვევი...

მოწყურულ თვალებით

ნავაჭრთან ჩარჩები...

— თუ გონზე არ მოხვალ,

წარსულში ჩარჩები,
თითს მიქნევს სარკიდან
ჩემი „ძე” – ვით უცხო.
დახლებთან ქსოვილებს
ხარისხით არჩევენ,
რატომღაც სარკეში
ყურებას გვაჩვევნ...
სარკე კი სახეში
სიმართლეს მახლის...
ჩახედავ? აღარ მაქვს
იმედი ახლის...
სარკიდან მიმზერს
ჩემი ორეული.



ქარი დამდევს
თმებს მიწერავს,
ალბათ მიმხელს ხვაშიადს,
შენი სული რომ არ მეძებს?.....
(აბა, რა განგაშია)?



დრო გარბის ცივად,
დრო გარბის ცივად
და მე რომ მკითხოთ,
და მე რომ მკითხოთ,
სული სულია და
ცისფრად ბრწყინავს,
ხორცი ხორცია,
დრო გარბის ცივად...

სიმღერა

მე შენ როცა მენატრები,
მენატრები თუმცა მუდამ,
მომდევს ზეცა კელაპტრებით
და ლექსებიც მერცხლის გუნდად:
შენზე ფიქრის, ფიქრის ფიქრი,
აჩრდილივით ამედევნა,
გახდი ჩემი სიზმარი და
გახდი ჩემი გულისძვერა.
შენს ჭრელ ცაზე გაფანტულან
ყვავილები წყება—წყებად...
და ორუბლებიც დაფატრულნი
და ტკივილებს ივიწყებენ...
ამდენ ფერებს, ამდენ საზებს
დასდევ, როგორც ბალდი ურჩი...
და საოცრად ლამაზ თვალებს,
შენს საყვარელ ფერებს ურჩევ...
და საოცრად მაღალ ცაზე
მოჩანს, მხოლოდ თუთრი სევდა,
და მიწაზეც — მწუხრის ქნარზე
მარტოობის ნაღველს ხედავ
და შენ როცა მენატრები,
მენატრები თუმცა მუდამ,
მომდევს ზეცა კელაპტრებით
და ლექსებიც — მერცხლის გუნდად.



იქ, სადაც სიდიადეა,
კრძალვით და რიდით დადიან,
სადაც მზის სხივნი გალობით
ხვდებიან ყოველ განთიადს,
სადაც იისფერ რიალში

სულს ამაღლება სწადია,
რწმენის ხატებთან ცახცახით
ჩემი სანთლებიც ანთია.

1987 წ. 10. 10



ქვეყანაზე ვერ ნახავ
ბედნიერების მაძიებელს
ბედნიერება ეპოვოს,
სიყვარულის მაძიებელს
სიყვარული ეპოვოს,
სიკეთის მაძიებელს
სიკეთე ეპოვოს,
თუ ყოველივეს
წყარო და საუნჯე
საკუთარ სულში
არ გააჩნია.

ბავშვი

მზეო! მზეო! შემო სახლში,
ნახე ჩვენი ტურფა ბავშვი,
შენი სითბო ურევია ხმაში.
როცა ტკბილად გაილიმებს,
როგორც ვაზი ჩუქურთმაში,
ისეთია მაშინ.
პირზე ვარდი ჰყენია და
ავი თვალისგან დაიფარე ღმერთო,
გაგვიზარდე სასახელო,
დავით აღმაშენებელი,
გულში მუდაბ

ჩვენი ქვეყნის
სიყვარული ენთოს.
მზეო! მზეო! შემო სახლში
ცალ, ღრუბლებს ნუდარ აშლი,
შენს სხივებში
გაგვიზარდე ბავშვი,
დაუმკვიდრე სიკეთე და
დაუმკვიდრე გულწრფელობა,
დიდი ნდობა მოუპოვე ხალხში.
მუხლი მიეც გორგასალის,
უღერადობა ფოლადისა – ხმაში,
გული – მუდამ მოალერსე,
მამულისთვის მოფართხალე,
გული – მუდამ
პოეტის და ბავშვის
მზეო! მზეო! შემო სახლში,
ნახე ჩვენი ტურფა ბავშვი,
შენი სითბო ურევია ხმაში.

2014 წ. 27. 02



ღამე ყოველთვის
მპირდება ახალს,
ღამეს სინათლის წყურვილი ახლავს...
მთვარე კი მუდამ
ეჭვებთან სახლობს
და სევდიანი კაცის
სახე აქვს.

ივლისი

მარადიული სიმშვიდე
ჩამოდგა გაურკვეველი...
და მივყვები გზას
ოცნებისა და იმედის გარეშე,
ღმერთო! რა ძნელად
ამოსაკითხი ფერებია...
თაკარა მზის ქვეშ
მეწვის ყელი...
სიმღერის სურვილს გავურბივარ
ოუ უპევ გავექეცი...
რადგან იმედი
მზის სხივებივით
გადამეღვარა თითებიდან.
გავრბივარ ტრიალ მინდორში,
გავრბივარ და
ვერ ვემალები ყაყაჩოებისა და
გვირილების კივილს...
არ მინდა, მაგრამ მაინც გავრბივარ,
სმენას ვიხშობ, ისეთი ხმაური
დგას ისეთი, ვის ესმის ჩემი...
ახლა უსუსური ვდგავარ,
როგორც
უპატრონო ბაგში
და ბავშვივით მეშინა მარტოობის.



ოღონდ შენ ნუ გაბრაზდები,
შენ ნუ გამირისხდები,
ავსებულა დარბაზები
იისფერი ნისლებით.
გზებზე ისევ სევდის მთები,
შხამიანი ისრები,
სადღა არის ძერცხლის ფრთები,
პეშვს ცრემლებით მივსებენ.
მოუჩითავთ ჩემი ეზო,
ეკლებით და ისლებით...
ოღონდ შენ ნუ გაბრაზდები,
შენ ნუ გამირისხდები...

1980 წ.



მაქვს წამიერი ეჭვიანობა –
გთხოვ მომიტევო, ღმერთო,
სანამ შევიგრმნობ
ჩემგან რას ითხოვ,
მანამდე უნდა ვენთო.
მიწით სავსეა ჩემი სხეული
და ჩემი სულის ერდო,
იქნებ შემინდო
და მაპატიო,
გაგითამამდი ერთობ.
ცოდვით დაცემა რა ადვილია,
ამაღლებაა როული,
მაგრამ არასდროს არ მინატრია
ოქრო, ვერცხლი და ფული.
მთავარია, რომ ვიცოცხლო შენში,

მოწიწებით და კდემით
და ამ ზვირთებში
ყოჩაღად ვმართო
ჩემი ოცნების გემი!
თორემ ბოჭემა და დროსტარება
მოსაწყენია ერთობ.
გულით მწადია, რომ
შენს ტაძარში
როგორც კანდელი, ვენთო...
დაე, ტკივილით მეწვოდეს გული,
ვიყო თავდახრით და მობუზული,
ჩემს სულში თრთოდეს მთელი სამყარო,
შენს ტაძრის კართან
ლოცვამ დამდალოს...
ოღონდაც შენთან ვიყო მართალი,
ოღონდაც შენთან,
ღმერთო, მაღალო...

2013 წ. 13. 03



სიყვარულის გაპვეთილებს
ვიწერ გულის ფიცარზე,
ისე მაღლა ავთრენილვარ,
ვერ ვბრუნდები მიწაზე,
ღრუბლის მთებზე ვეძებ სათქმელს...
და მკარნახობს უფალი,
დანავარდობს ქარის ფრთებზე
სული თავისუფალი.
და ვით ჩიტი მგალობელი,
სიბრძნეს მთის და ბარისას,
ვპენტავ მარცვლებს,
ვკინძავ სხივებს –
სხივებს მზის და მთვარისას,

ვქარგავ, ვძერწავ,
ვხატავ გრძნობებს
ჩვენს იდუმალ მხარისა,
როგორც ლოცვას,
როგორც რწმენას, მარალ
ნათელ თვალისას
და მშვენიერ სიყვარულის
აუხდენელ ზღაპრიდან
კიდევ ერთი ფრთახატულა
ბავშვის სული აფრინდა.

1999 წ. 10



გუშინ წვიმდა და სველ ქვიშას
ასდიოდა ორთქლი
სველდებოდა ტირიფის ქვეშ
დაგდებული ბოთლიც...
არსად ჩანდა, ვინც ხის ძირში
ტიროდა და სვამდა,
სიყვარულის წვიმით მთვრალი
შეშლილ ტირიფს ჰგავდა.
ქანაობდა დედამიწა –
მთვრალი მუზის დედა,
ქარი ქროდა, ქარი ქროდა
ფოთლებს გზებზე ფენდა.
ღამდებოდა, ძილის რული
მიწას ერეოდა
და ლურჯ ფერში ჩაძირული
მიწა ხე და ოდა,
თითქოს რაღაც უხილავით
ბინდში ეხვეოდა.
არსად ჩანდა ის, ვინც ხის ქვეშ
ტიროდა და სვამდა...

ისე გყვები, თითქოს იგი
მითიურ კაცს ჰგავდა,
მლაშე გემო მის ცხოვრებას
ცრემლთან ერთად ახლდა,
ყველგან სვამდა, მეგობრებთან,
ხის ძირში თუ დახლთან,
ყველგან, რადგან ჭრილობები
ისევ გაუახლდა.



სულში ღმერთი თუ არ სახლობს,
თუ არ ცხოვრობ მზესთან ახლოს,
თუ არ გიყვარს შენი ერი,
თუ არა გაქვს ენა მჭრელი,
თუ დინებას მოუყვები,
გაუგებარ ზღაპრებს ჸყვები,
მაშინ ნეტავ რისოვის მღერი?...



ჩემი წილი მუგუზალი,
ჩემი წილი სითბო,
ჩემი წილი სიმწარე და
ჩემი წილი სიტკბო,
რიგ-რიგობით მელოდება,
რიგ-რიგობით იწვის,
და ცივ ხელებს,
და თბილ ხელებს,
რიგ-რიგობით მიწვდის.

რას შეიძლება უმღეროს კაცმა

რას შეიძლება უმღეროს კაცმა?

მზის ცხელ სხივებს თუ

ფოთოლთა ცვენას?

– იქნებ ეს უკვე ძველი თემაა?

თემები...

– როცა თემებზე ვფიქრობ,

ჩემში ირიბად შემოდის

სიტყვა ირონია...

ამ დროს მზე კიდეც იცინის და

კიდეც შეფარვით

დამცინავ ლიმილს იშველიებს,

გაურბის სევდას.

სევდა...

სევდა მარტოა და ეგუება,

მისთვის უცხოა აურზაური.

– სიტყვა - ხმაური..

და გარბის ველზე მთელი არსებით

შეუცნობელის კოზვის ნიშანს

მიაფრიალებს...

და მისი ფერი მუდამ არის

გაურკვეველი, მაგრამ მაინც

პრეტენზიული...

– მაღლიდან ცქერა იოლია

გულის გარეშე...

და მაინც მიკვირს – რატომ

არის ასე ადვილი,

გამოურჩიონ, მიუჩინონ

მეფის ადგილი,

რომელსაც მუდამ ტაშის

ცემით ესალმებიან...

რადგანაც მუდამ

თავში მჯდომის სიტყვას

ფასი აქვს...

და სულ უბრალოდ მახსენდება
სიტყვა — ბრძანება...
— ყველა მორჩილი,
თავმდაბალი — კულისებს მიღმა!
ბოლთას სცემს ხვნეშით
გაბლენძილი ყოფლოჩინობა.
ტრიბუნაზე კი ძველებურად
გაძვრა მავანი...
ლიმილი უფრო დამლუპგელია
და შიშჟე დარგულ
სიყვარულის უფერულ კვირტებს
უწყალოდ ფანტავს
შურის ველზე
ქარი აშარი...
და ბოლოს მაინც
ვიღაც ამბობს
სიტყვას აწონილს...
— ამ დროს კი
გვერდით ოთახიდან
მოცარტი!
ბახი!



თვალს დავხუჭავ –
სიყვარულით გაგბრუვდები...
გაგახელ და...
მეცხრე კიდან დაგბრუნდები.



შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ
ჩემს მწუხარებას,
უმანკო სულის რჩეული ხარ,
ღვთის ნეტარება,
ღრუბლიან ცაზე
იდუმალი გამოდარება,
ნუთუ არასდროს დააპირებ
ჩემს შეყვარებას?
ისე უბრალოდ და მარტივად,
ბავშვებმა რომ იციან ხოლმე?
მადლობა უფალს,
რომ გამიმეტა
და კვლავ დამიხშო
ნეტარების მსუბუქი კარი.
სიცხეა ირგვლივ...
წითელია მზის ჩასავალი,
კიდევ კარგი, რომ
ძველებურად ქრიან ქარები...
როცა ეზოს ვგვი
— დაუნდობლად ფანტავენ ნაგავს,
სურთ შემაყარონ ალბათ თვალებში,
მე კი ცოცხს ვიქნევ —
გაცინების არა მაქვს თავი...
იქ ყვირილაზე სიყვარულით
ვხედავ გალეშილს,
შავებში ჩაცმულ მგლოვიარე
დაღლილ მამაკაცს,
გვერდით კი გდია პატარა ნავი,
მეოვეზის ბადე და
ორი ბოთლი...
არ შეიცოდებ? სიყვარულით
შენც ხომ ხარ მთვრალი?
ან იმისთვის რომ

გადიხადო კაცური ვალი?
რაღაც არ მომწონს
მე ეგ გრძნობა,
ცოდვით შობილი...
და ვერასოდეს ვერ გავხდები
რადგან მშობელი...
ბავშვობიდან კი
ვერასოდეს ვერ გამოვალ და...
ო, ღმერთო ჩემო,
შენზე ფიქრი ისევ მოვარდა...
და უსასოო ზმანებებში
გადამისროლა.

2011 წ. 8. 8





დამდნარი ზოლი ვარ,
ჩრდილი ვარ წაშლილი,
შენთან კი რამდენი
ვარდია გაშლილი...
მოვდივარ, სული ვარ,
სარკმელთან გდარაჯობ,
ხმა ისმის ყიჟინის,
შენ რა როლს თამაშობ?
ზეცისკენ გამირბის
დაღლილი თვალები,
ტკივილი, ტკივილი,
მაწყდება მქლავები.
შენ ამბობ – გიყვარვარ,
ხაფანგში გაები,
ჰა! ჰა! ჰა! სიცილით
ირყევა მთა – ველი.
მკერდიდან კივილი,
ცოტა შიშნარევი,

საშუალოთებს ძონდები,
სახეზე ღარები,
ხელები კანკალა,
ნაგავში ნარევი...
ყველას არ უცინის
ლამაზი თვალები.
ამაყი სახლები,
ცივი და ახლები,
სიმდიდრით სავსეა
რასაც ხელს ახლებ.
სამყაროს აწუხებს
კერპების მონობა,
როკი და ხმაური
აწყვეტილ ბომონთა...
აწყდება ერთმანეთს
მოვრალი და ფხიზელი,
არეულია კაცი და ქალი...
ვინ იცის, რამდენ ხანს
იქნება გამოცდა...
კაცობრიობა რას აღარ
გამოცდის...
და მერე დადგება ნამდვილი
ქაოსი,
ქაოსის მართვა კი
არ არის ადვილი.
უფალი დადგება
კვლავ თავის ადგილას
და მხოლოდ მას ძალუშს
ბრძანოს და იმეჯოს
და მისი სიტყვიდან
აღდგება ნათელი!
ლაზარე აღდგება
სამი დღის მკვდარი და
ყველაფერს, ყველაფერს
დაგიწყობთ თავიდან...



გიყავ წარმართი,
ახლა მართი ვარ,
და შენს ტაძრებში
სანთლად ვანთივარ,
არ მიძებნია არასოდეს
ყალბი დიდება,
რადგან კაცობა ოქრო-ვერცხლზე
არ იყიდება,
და მომავალშიც მხოლოდ ღვთისკენ
იყოს სწორება,
ჭეშმარიტება არასოდეს არ იწონება.
გმადლობ, უფალო, შენი სითბო
მუდამ თან დამდევს,
განვედი ჩემგან, ბოროტებავ!
ღმერთი გვფარავდეს.
ნუ მიმატოვებ, ჩემო მზეო —
ჩემო გამჩენო,
შენს იმედად ვარ, გზაი ტაძრის
უნდა მაჩვენო!
რადგან თუ სულში სიბნელე და
მხოლოდ ღამეა,
მაშინ ცხოვრებაც ტკივილი და
სიმწუხარეა...
შემომაშველე ხელი, რათა
აღარ დავეცე
და შენს სიყვარულს უღმერთობით
აღარ გავექცე!





ლამაზი მაქმანით მორთული ფარჩები.

პოეტი

ხან ვიყინები, ხან ვთბები,
ხან სიყვარულით ვთვრები,
ხან ვფრინავ, ქროლვით ვიღლები,
ხან მენატრება ფრთები.
ხან სიყვარულის წვიმა ვარ,
სევდის მთებს ვეომები,
ხან — ჩიტი პაწაწინა და
უიმედობით ვკვდები.
ხან ობოლი ვარ ცრემლი და
ხატის წინ ლოცვით ვდნები.
ხან მღელვარება მაწუხებს,
ციდან სევდიან ხმების,
ხან დიდუბეს ვარ,
ხან ქაშვეთს,
ხან სიონს ვეახლები.
ხან სიკეთე ვარ, ხან რისხვა,
ჩემი მამულის მთების,
ხან წინაპართა ძახილი,
ჟრიალი მათი ძვლების,
ხან კი მომავლის იმედად

რიურაჟებს ვეგებები.
ხან ტვირთი მიმაქვს გოლგოთას
გაჯიუტებულ მხრებით.
ხნულში ნერგი ვარ, მარცვალი,
ყოველ დღეს რწმენით ვხვდები,
შენი მონა ვარ მამულო
როდიდან ვეღარ ვხვდები.



პატარა გულში გალაზული
ბავშვივით ოჯდა,
ცრემლად დაღვრილი თვალციმციმა
ლურჯი ოცნება,
ხოლო დღეები მიდიოდა
ნელა და ლინჯად,
მიდიოდნენ და გულგრილობით
გაგაოცებდათ.
ხის კენჭეროდან მოისმოდა
მერცხლის ჭიკჭიკი,
გახარებული გაზაფხულს და
მზეს შემღეროდა,
აივნის წინ კი, მწყემსი ბიჭი
ასაკვნესებლად,
სალამურს თლიდა წინაპართა
ლერწმის ღეროდან.
ტყეში სააკვნე ხეს ეძებდა
მშრომელი კაცი და
შიშისაგან აურეოლებდათ
ფიჭვებს და კაკლებს...
ქუჩის პირას კი ფიქრიანად
იდგნენ სახლები
და ღიმილიან თვალს აყოლებდნენ
ვარდისფერ აკვნებს.

ხოლო დღეები მიდიოდნენ
ნელა და დინჯად,
მიდიოდნენ და გულგრილობით
გაგაოცებდათ.

♦ ♦

ფარდააუხდელი ოცნებების
სიმღერის წყურვილს
დაატარებ და უმიზეზოდ
ნაცემი ბავშვის
უმანკო ცრემლი
გისველებს თვალებს...
შინდისფერ გარდებს
უმზერდი მუდამ,
ვითარცა მთვრალებს.
ლურჯი იები გახსენებდა
ფერგამკრთალ მთვარეს
და გაწამებდა არტახებში
გულის ფართხალი...
და ფრთებდაჭრილი,
ლულუნა მტრედი
ავლებდი ცაზე მოთეთრო და
ვარდისფერ საზებს.
და იდგა რწმენა – სუსტი ბავშვი
ჩამოყრილ მხრებით,
მღეროდა, მაგრამ
მიღეულ და
ცრემლიან ხმაზე.
ახლა დგახარ და
გახსენდება უგულო ქალი
ბასრი დანით
როგორ აჭრიდა
ჯერ ისევ ჩვილ და
მუხლსუსტ ლექსებს

მოცისფრო ძარღვებს,
როგორ ცელავდა
შენს მინდვრებზე
ბალახებს ქარი,
როგორ აკრთობდათ
ყინვის შიში
უსუსურ ბალლებს,
როგორ ატანდნენ
შენს ოცნებებს
ცხოვრების ტალღებს.
ახლა დგახარ და
სხვისი ლექსის
სიმღერით ხარობ...
ახლა დგახარ და
სხვისი ლექსის
სურნელით თვრები,
და საოცარი ტკივილებით
იხსენებ ქარებს...
და გაწუხებენ ჭრილობები
დაჭრილი ფრთების.

1980 წ.

• •

ზელები მზისკენ
გაწვდილი პეშვით,
თითების ბროლის,
ვარდისფრად ფეთქვა,
ჩიტუნას მკერდში
ნიავის სუნთქვა,
აპრილის თქეში
და გულის ხეთქა...

და შენთან ერთად
ოცნების ფრთებით...
ვარდისფერ ცაზე
იები ლურჯად,
სულ ბლუჯა – ბლუჯა.
ბედნიერება სულ ერთი მუჭა,
მე თვალებს ვხუჭავ...



იისფერ ტალღებს ესვენა მოვარე,
ქალი ცის კალთებს ყრუდ მიპკიოდა,
თენდებოდა და მშფოთვარე ღამეს
გამშრალ ყელიდან ცრემლი სდიოდა...
ქალი დარდიანი, ქალი ლამაზი,
მწუხარებისაგან გამხმარი ვაზი.
თენდებოდა და სიცხით იწვოდა
ლამაზ თვალთაგან ცრემლი სდიოდა,
მზეს შუბისტარზე ეკიდა ცეცხლი,
შეყვარებული სული სტკიოდა.
ქალი ნარნარი – სიო არმაზის
ბავშვივით წმინდა, სუსტი და ნაზი.
ტაძრის გულზე კი დანთებულ კანდელს
სული კანკალით ამოსდიოდა
და მსვერპლშეწირვის უსისხლო ნაღველს
ამაოდ დაღვრილ ცრემლს შესჩიოდა.
ქალი რომელიც იქცა ლეგენდად,
ქალი რომელიც იქცა თილისმად...
ყველას უყვარდა, მაგრამ რატომღაც
არ შეიყვარა ტურფა თბილისმა.



ფერადოვანი სხივების ტევრში
დამიტოვია ჩემი ბავშვობა,
ხოლო თბილისის ქუჩების მტვერში,
ბედი ბავშვივით მეთამაშება.

ღუმელი

ჩუმად მიყვება ზღაპარს
და წიფლის ცეცხლით მათბობს,
მეც ჩუმად ვუსმენ და თან
ვგრძნობ, რომ არა ვარ მარტო.
გარეთ ღამე დგას ფრთხილად
და სარკმელიდან მიცქერს,
ოცნება ფრთებს შლის,
(ალბათ ზომავს გასაფრენ სივრცეს).
მე კი ღუმელის გვერდით
ვზივარ და ჩუმად ვთბები,
წავალ, ჩაქრება, მოვალ,
ღულუნებს, როგორც მტრედი.
ცოცხალ კაცივით სუნთქავს,
ფიქრით სავსე აქვს მკერდი,
რა ქნას, უსაზღვროდ უყვარს,
როცა უსხედან გვერდით!



ღმერთო, მიშველე!
ღმერთო, მიშველე!
ვიცი, ჩემი ხმა
შენაძლე აღწევს,
გულო დაღლილო,
ნუ დაისვენებ,
თუმცა ქარია,
გათოვს და გაწვიმს,
მაინც წინ გასწი,
მაინც წინ გასწი!

1978 წ. 20. 2



ჩამოივლის ქარი,
ქარი — გულმკერდმკვდარი,
როგორც ქვრივი ქალი
და მომიტანს ღრუბლებს,
ღრუბლებს წვიმის ფთილებს,
ზოგჯერ მზისხივნასვამს,
მართლაც გულკეთილებს,
მაგრამ უფრო ხშირად
ცრემლებშეუმშრალებს,
ტკივილდაუამებთ,
და დამიწვავს თვალებს...
და დამიწვავს თვალებს...



მენატრები! ნისლიან
და სევდიან ქარებში
დაფრენს სული უცნაურ
მარტოობას ჩვეული,
მაგრამ მოულოდნელად
შენგან გამორჩეული,
ფრთებს ისწორებს ანაზდად
და ზეცისკენ მიიწევს.
გულო, გახსენ კარები,
ველად ნუ გაიჭრები,
ბარს ირემი მოსულა,
განზე გადექ იჭვებო!
მზე მიქსოვს თეთრ კაბას,
სიო მეალერსება,
სივრცეები გიხმობენ,
მაჟორულო ლექსებო.

1978 წ. 30. 4.



მე ვარ მზის სხივი,
ანასხლეტი დიდი გულიდან,
გიზგიზა მნათის ერთი წილი
და ერთი წალი,
არაფერი მაქვს სხვისგან
სესხით მითვისებული,
ნაღდია ყველა სიღდიადე,
ჩემში რაც არის.
დაბადებიდან მარტოობას
ვარ წილნაყარი
და ორბუნება, ქედმაღალი,
უღელი ცალი.

— მე ვარ მზის შვილი...
ჩემში მეფობს სული მგოსნისა
და შემოქმედის ლაღი ნება,
ხმა კოშმოსისა.
იდუმალ ვნების დამთრგუნავი
თან მდევდა ძალი
და მმორჩილებდა ჩემში მხეცი
და ამორძალი...
რაიც თან მახლდა,
როგორც შიში და გაოცება
და ამიტომაც ვიქეც სიზმრად,
მითად, ოცნებად.

ავტოპორტრეტი

ეს ისევ მე ვარ, ჩემი ღეჭსებით...
როგორ დამღალა საკუთარ თავმა...
ასეთი სუსტი და უსუსური...
(უსუსურობა ჩემი დამღაა...)
- შეშინებული მწუხარე ბავშვი.
თითქოს რაღაცას მიაგნო, მაგრამ
ვერ მოუყარა თავი ვერაფერს,
არადა, რა ქნას, აწყდება ზეცას,
ეპოტინება, რადგან ყველაფერს...
შეშინებული მწუხარე ბავშვი
ხელში კალმით და ზოგჯერ ფუნჯითაც,
ღებავს და ხატავს სამყაროს ღიმილს
და იყურება თავის უჯრიდან...
ხანდახან კიდეც ჩეარობს,
ტილოზე სურს, რომ შეასხას
ჩანაფიქრს ფრთები,
მაგრამ ხომ უნდა თვითონაც ფრთები?...
არადა, ვეღარ სწყდება იმ უჯრას,
მარცხენა ხელით რომ ჩაფრენია,

ზეცა კი ახლაც ისევ ლურჯია
და ელოდება ღვთიურ გენიას –
ენაჭიკებიკა, ღამეთენიას...
რომ აამდეროს იასამნები,
და გვირილებით მოხატოს მიწა...
და კველგან მე ვარ, სადაც
მართალი თავს ვერ მოაბამს
ვერაფრით საქმეს...

სადაც მარადებას ტირის ტირიფი
და თავის წუხილს სახელს ვერ აღქმევს.
რადგან სიმართლე ისე ძნელია,
მარადებას დუმს და ვერ ამბობს სათქმელს,
კიდევ კარგი, რომ იმედად ჩვენდა
არის ღვთის სახლი და ვანთებთ სანთლებს!

არის ლამაზი სასახლე,
შეხვალ კრძალვით და რიდით,
ირგვლივ ჭერამდე თარო,
წიგნი მცირე და დიდი
წიგნი – ნათელი აზრი,
მასწავლებელი მშვიდი,
ხან მომღერალი ვაზი,
ხან მოზიდული მშვილდი,
წიგნი – სანთელი ცოდნის,
ქმობის ნამდვილი ხიდი,
კითხვა მადლის და ცოდვის,
წიგნი – ერთგული გიდი.
სიკეთის გზაზე შემდგარს,
მუდამ გვმოძლვრავს და გვშელის,
ვინც ბევრს კითხულობს, მუდამ
სიბრძნე და ჭკუა შვენის...



წვიმაა ზეცის სიძლერა,
ღმერთის ცისფერი ცრემლი,
ხმაშეწყობილი გალობა
ცამომხრობილი მრევლის.
მიწა გახსნილი გულია
და მზით გამთბარი უბე.
მიწა ზეცის ტაძარი,
საზრდოს გვთავაზობს კალთით,
სიყვარული კი სამოსი,
ქრისტეს ღვთიური კვართი,
ვარსკვლავთა ჯარი მძივია,
მზე შემოქმედის თვალი,
ვისაც სხივებად უნთია
კაცი, ბავშვი და ქალი.
მაგრამ ამ ქვეყნად ბოროტიც
დაშვებულია რადგან,
მასთან მებრძოლი ადამი
ღმერთმა თვის ხატად გადგა,
ადამის მოდგმამ პასუხად
გადაივიწყა ღმერთი,
ეშმას მიჰყიდა სული და
სატანას მეფის კვერთზი,
დაეცა თხემით ტერფამდე
შმაგ ლუციიფერის ფერხთით.
წარღვნამ წალეპა ქვეყანა,
ცა ჩამოიქცა რისხვით.
შეძრწუნებულთა ტირილი
ხანდახან დღესაც ისმის.
უფლის დიადი ნებით,
იყო სასჯელი მკაცრი,
და მძიმე იყო ცოდვა
გამოსასყიდად კაცის.
ისევ უფალმა იტვირთა
სისხლით წარხოცვა ცოდვის
და დაიღვარა ისევ

ქრისტეს ღვთიური სისხლი...
ის იყო დიდი გამოცდა
იმედისა და თმენის,
და კვლავ მიუცა ძალა –
სიყვარულსა და რწმენას.



რატომ, რატომ, რატომ?
მუდამ ასე ქარი?
მუდამ ასე მარტო?
და მიუსაფარი?



ფართხალებს გული,
ფართხალებს გული,
როგორც მახეში გაბმული ჩიტი,
მაქვს მწუხარება,
მაქვს გაზაფხულიც...
მაქვს მღელვარება,
პატარა იჭვიც....,
და დავალ ასე...
ქართა ფეხდაფეხ
და უშენობა ძალიან მიჭირს...



ღმერთმა ნუ ქნას და
არ დამხვდე სახლში
და არ დამიხვდეს
კარები ღია,
ჩემი ოცნება ობოლ ბავშვივით
ფარდადაშვებულ სარგმელთან გდია
და მე მოვდივარ,
მოვდივარ ეჭვით,
ან დამიხვდები,

ან არ დამხვდები,
მომაქვს სურნელი
ნაძვის და ფიჭვის,
მოვდივარ ცელქი
სიოს თანხლებით.
ღმერთმა ნუ ქნას და
არ დამხვდე სახლში....

თოლია

ტალღებზე ვმდერი, ტალღებზე ვფრინავ,
ტალღები მიყვარს, ღელვა და გრგვინვა,
ნუთუ არ მკითხავთ, ასეთი ვინ ვარ?
სულ პაწაწინა თეთრი თოლია,
და შხოლოდ გულით ვგავარ გოლიათს.
როცა ლაჟვარდში დავფრინავ ჩიტი,
მიცინის ზეცა, ნაძვი და ფიჭვი,
დავდივარ, დამაქვს დარდი და იჭვი
და სიყვარულის დიადი ნიჭი.
ტალღებზე ვმდერი, ტალღებზე ვფრინავ,
მზის ათი სხივი მიზის სასოფლოს,
მიღვიძებს ალღოს, მინათებს გუმანს
და მეცხრე ტალღას ვაწყდები სტვენით
ასეთი ვინ ვარ? შვიდფერმა მუზამ
ამიყოლია...
ტალღებზე ვმდერი... ტალღებზე ვფრინავ...

1985 წ.

ყვავილები

მხოლოდ შენთვის დავიღალე
იმ კლდეებზე სიარულით,
რომ მომეძღვნა ყვავილები
და მენახე მხიარული.

დავიღალე იმ დღეების
საოცარი სურნელებით,
იმ კლდეებზე დავაქარგე
ათასგვარი სურვილები
ჩავიწატე ამ კლდეებზე
გადადგმული ნაბიჯები,
მომეგებნენ ყვავილები
როგორც კარგი ძმა—ბიჭები,
ზოგი თეთრი, მტრედისფერი,
ზოგიც კიდევ ვარდისფერი,
იისფერი, ოქროსფერი
— ყვავილები, ყვავილები...

არ მეგონა

არ მეგონა, თუ ჩემსავით
შენც ღვთის ნებას
დაჰყვებოდი...
და ჩემს სურვილს —
გაუმხელელს,
არასოდეს აჰყვებოდი...
შენც სხვებსავით უნებლიერ
გულცივ ქარებს გაჰყვებოდი,
მარტოობის ტკივილები
ისევ გამიახლდებოდა...
და ღრუბლების მირაჟების
ბინადარი განდებოდი.
არ მეგონა, თუ ღმერთკაცი
მოკვდავთ შორის დადგებოდი.
მომსიბვლელი ღიმილისთვის
ნიავივით გავქრებოდი
შენ კი, როგორც
ცელქი ბიჭი
ჩემი სუნთქვა განდებოდი...
არც მკითხავდი გულის გულში
ისე შემოსახლდებოდი

და სიზმარი ათას ერთი
ზღაპარივით ახდებოდა,
ჩემი გულის გასაღების
მქაატრონე გახდებოდი.



რად ვერ გავუგე წუთისოფელს,
ვერ გამიგია,
ჩემი პატარა თეთრი ოდა
ვერ ამიგია,
შიგ მოჩითული ხალიჩები
ვერ დამიგია,
სხვაგან თუ მუდამ
თაკარა მზეა —
ჩემთან ბინდია.



ვზივარ თბილად ბუხრის პირას
და ფიქრების კაბას ვჭრავ,
დაღლილს დედის ხმა ჩამესმის,
ნუ ჩააქრობ შვილო კერას.
ყველგან დამდევს ამ ხმის სითბო,
და მიმატებს გული ძგერას.
არ მასვენებს, ტკბილ ძილს მიფრთხობს —
ნუ ჩააქრობ, შვილო, კერას
და ჩაუმქრალ კერასავით
იწვის დედის ცხელი მკერდი,
რომ მარად ჟამს ენთოს ცეცხლი
დაფუსფუსებს კერის გვერდით.

ზეები

დგანან ზეები,
შიშველ ზელებით
და გაზაფხულის
მოსვლას ელიან...

დგანან მხარგაშლით,
ახლის იმედით,
ტოტები მზისკენ გაუწვდენიათ...
დგანან ხეები
შიშველ ხელებით
შუშუნა წვიმას ელოდებიან
და რომ შეეძლოთ,
არ დაუცდიან,
სულ ყვავილებად აფეთქდებიან...
დგანან ხეები...



ეს ცხოვრება სიზმარივით გამივლია,
მაინც დროზე გავახილე თვალი,
აუ, ქვეყნად ეს რამდენი ყვავილია,
ეს რამდენი მშვენიერი ქალი...
გაუსწრიათ სიჭაბუკის მაცდურ დღეებს,
დარჩენილა ზეცა ბობოქარი,
და საოცარ უმანქო და ბავშვურ ხელებს
ეფერება ქარი...
მოუსწრიათ აფეთქება მწვანე ველებს,
გაუშლიათ მხარი,
ყაყაჩოებს – საყვარლებს და სასურველებს
დაუდგიათ თვალი...
ნაკადულზე სამყურებს და თეთრ გვირილებს
მოუყრიათ თავი...
მე კი – მარტო...
არა, რატომ?
– ჩემთან არის ქარი.

მინდა შეგხვდე ხოლმე ბედად...

მიყვარს ხეტიალი
ამ ქუჩებში
მინდა შეგხვდე ხოლმე
ბედად,

მზეში იმ სხივს ვეძებ
შენც რომ
ჩუმად გათბობს
დედას გეფიცები,
დედას.

ნიავს ვეფერები,
შენც ხომ გიყვარს იგი?
წვიმა დამისველებს
თვალებს,
შენც ხომ
დასველდები,
და რომ დაგასველა,
იმ წვეთს
ვენაცვალე.



რად ვერ დავიწყე
ჩემი ლექსი,
რად ვერ დავიწყე,
ღმერთო, მიშველე
და სიმები
ისევ ამიწყე,
მე ხომ უშენოდ უსუსური
სუსტი ტოტი ვარ,
ნუ მიმატოვებ, გამოცდილი
მგზავრო როდი ვარ,
ისევ ბავშვობის ბურუსებში
გახვეულს მცივა
და გაცრუებულ იმედების
ცრემლები მცვივა...
და თუმც ბევრს ვცდილობ,
ბავშვობიდან ვერ
გამოვდივარ,
შემომახვიე შენი კალთა,
შენკენ მოვდივარ.



სიღნაღი



ისე ზასხასაა ზეცა სამშობლოსი...



ისე ზასხასაა, ისე გამჭვირვალე
ზეცა სამშობლოსი,
მიკვირს, როგორ უღებს
გული სევდას კარებს –
გული ბავშვისა და მგოსნის?
წვეთები ანკარაა,
ზაფხული თაკარა და
ნაწვიმარი ნაძვის ტოტებს კოცნის,
მიკვირს, როგორ ეძებს
ნიღაბს სიმშვიდისას
გული ბავშვისა და მგოსნის.
ეზოში იავნანა,
ეზოში აკვანი დგას
ფერით ვარდისა და სოსნის,
ზეცას შეპფოფინებს,
ბუნჩულა მუჭებს უქნევს
პატარა ანგელოზი.
ველად გუგუნია, გადაძახილები,
ხმებია ლილეოსი...
მიკვირს, როგორ უძლებს
ამხელა სიღამაზეს
გული ბავშვისა და მგოსნის.



მზენასვამ და
ქარგამოვლილ
ლექსებს აღარ
ვჯერდები,
ახლა ცაო, შენ მჭირდები,
თეთორ ლრუბლებთან ვჩერდები.
მჯერა,
ქარი მოუბერავს,
ახალ ამბებს მამცნობს,
დღეს კი ლურჯი ზეცა მიმზერს,
ქარი აღარ
ანცობს,
დაისვენე, ჩემო კარგო
მზისმოყვარე კაცო,
დაელოდე მომავალს და
აღარ იავეცო,
იცი?
როგორ უნდა წატო?
როგორ უნდა წერო?
იცინოდე და
ტირილის
გაწუხებდეს
გემო.

სამშობლო

შენი წარსულით,
შენი მომავლით,
შენა ხარ ჩემი
სულის ნაწილი,
არ ვიცი, როგორ
მოგეფერო და
ეს გული როგორ
გაგინაწილო.
არ მსურს შეგეხოს
ბინძური ხელი,
გაგინადგუროს სული
ცხოველი,
შენა ხარ ჩემი –
ტკბილი მამული,
და მზის კარიბჭე,
სვეტიცხოველი.
შენ ღვთის ხატი ხარ,
სტუმართმოყარე,
შენი ამერით,
შენი იმერით
გულზე გინთია
შენი ტკივილი
და მომღერალი
ლამაზი ერი.
კალთაგაშლილო,
– სუფრავ ლხინისავ,
კავკასიონის
გვირგვინ-თილისმავ,
შენი სულის ხმა –
ცივი ნიავი
ცივ-გომბორიდან
მომეთილისმა.
ხარ ხანიერი

და ნიჭიერი,
რაჭა-ლეჩუმის
სიმძიმე გშვენის
ოდითგან მოგდევს
რწმენის სინათლე,
ვით ავგაროზი—
სულის სამშვენი,
მაგრამ მტერიც გვყავს
ყოველდღიური,
არა ყოფილა
შენი საშველი...
არც კავკასიოთ
და არც შავი ზღვით
არ მოადუნო სიფხიზლე შენი,
ცერზე შემდგარმა
მოვლე დუნია,
ლესე ხმალი და
ლესე ხანჯლები,
იდექი მტკიცედ
ტრადიციულად,
რადგან სიწმინდის
ლეჩაქი გშვენის,
მარადიულად —
გენოოს სიცოცხლე,
მარად იმღერე სიმღერა შენი.

2010 21.10

ძმერეთი

მაგონდება სიზმარივით
მოები — ნისლებს ჩახვეულნი,
ბილიკები, გზაწვრილები
ახვეულ-გადახვეულნი;
ჩანჩქერები თმაგაშლილნი,
კლდენი კალთაჩახეულნი,

ყავილები მთვარეულნი,
ტრფობის აღში გახვეულნი.
საურმე გზა, გზაზე მგზავრი,
ხურჯინგაგადაკიდებული
ციდან სიოს მოტანილი,
მოძახილი დიდებული,
ზევით ტყე-ტყე მოწანწალე,
მობუტბუტე ავი ქარი,
ზევში წყაროს ლიკლიგი და
კოკით მხარზე ტურფა ქალი.
წყავის წვერზე – ღრუბლის ფთილა,
მთვარე სევდაგარეული,
ვაზი – ცრემლებშეუმშრალი,
თძაქოჩორა ყანეული,
მოჩურჩულე საკრაულა,
თხილნარებში გაბაწრული,
ცერზე მდგარი ოდები და
ეზოები – ღობეწნული.
მაგონდება სიზმარივით
მთები ნისლებს ჩახვეულნი,
ბილიკები – ტყედ მავალნი
ახვეულნი, ჩახვეულნი...



მე ჩემი საზრუნავი მაქვს –
ჩემი პატარა ვალი –
სამყაროს სულს შევუერთო
სული დედის და ქალის,
ვთქვა იავნანა ქართული,
ჩემი ტანჯული მხარის,
თავხე ვაჩვენო აზრისა,
ჩემი ჯიშის და გვარის.

წალხურ მოტივზე

დედაჩემო, რად მიმღერე
ტკბილი იავნანაო,
საქართველოს სიყვარული
რად ჩაატან თანაო,
თუკი უნდა შეგიძულოთ
ჩვენი ანა—ბანაო,
ჩვენი ტკბილი ლილეო და
ჩვენი განდაგანაო,
რაინდული მთიულური
ჩვენი ცეკვა ქართული,
შიგ მზის სხივი გაბაწრული,
ჩონგური და ფანდური,
ჩვენი კუთხის კილო-კავი,
ოპიზრების ხლართული.
დედაჩემო, რად მიმღერე
ტკბილი იავნანაო,
საქართველოს სიყვარული
რად ჩაატან თანაო.

წმა ჩემი ზეციური ოცნებისა

მზის საკურთხევლის ტარიგად
დაუფიქრებლად ქცეულო,
სულიდან ნაწილ-ნაწილად
ლექსებად ამოფრქვეულო,
შენ უსწორ-მასწორო გზა კვალით
ზეცის გულს შემოღწეულო.
ჩემო რიერაჟის სინათლევ,
სულ პაწაწინა რვეულო.
ამოდი, ამოანათე,
ჩაგიკრავ ცეცხლის ღადარში,
ლოცვით აგივსებ ცხელ ბაგეს,
სულ ფურცელ-ფურცელ გადავშლი.

გადაგიქარგავ ველ-მინდვრებს,
ვარდ-ყვავილების ბადახშით,
ოქროს სხივებით აგავსებ,
როგორც მშვენიერ ზღაპარში.
წამოდი, სულ ჩემთან იყავ,
მე შენ არასდროს არ წაგშლი.

სამშობლოვ

(9 აპრილს დაღუპულ გმირებს)

გულო, მღელვარება
კი არ დაიოკო,
ზღვაო, გადმოლახე ნაპირები,
ქარო—ქარიშხალო,
გრძნობა არ მოთოკო,
თორებ სატანასთან
კავშირს აპირებენ.
თუმცა კეთილი და
სტუმართმოყვარე ხარ,
მაინც ხარხარებენ
ბნელში ვამპირები,
შენთან ღმერთია და
შენთან სიკეთეა,
ყური არ დაუგდო
მათ ცრუ დაპირებებს
მიპარვით ეხერხებათ,
სხვათა მწუხარებას
ნიანგის ცრემლებით
განიცდიან...
ბოლომდე ნუ ენდობი,
ბოლომდე ნუ ენდობი,
მკვლელებმა შებრალება
არ იციან.
1989 წ.



ილია მოკლეს, ზვიადი მოკლეს,
ვინ იცის, იქნებ მოკლეს რუსთველიც?
ისედაც კაცის დღე არის მოკლე,
ღმერთის ძე არის კაცი ყოველი?
უფალმა საჯოს მსხვერპლიც და მკვლელიც,
მკვლელი ნიღბით და ნიღაბახდილი
და დგას მამული შვილებისაგან
გაყიდული და ნამუსახდილი.
— ამაზე მეტი რაღა მოგველის,
როცა დაჩოქილს სანთლებით წელში,
შენივე ძმაი, სისხლი და ხორცი
თავში კეტს გირტყამს დაუნდობელი.
როცა ტაძრამდე მოგდევს კაენი
და არ ადარდებს ქრისტეს მცნებანი,
დავიწყებია ზარზმა და ბოდბე,
მხოლოდ სისხლია მათი ვნებანი,
სად ხარ უფალო, დაჩოქილ მოყმეს,
შენს სიყვარულში სული ამოსდის,
მგონი დამდგარა დღე ამაღლების,
მზეო ამოდი, მზეო ამოდი...

ქილევ კარგი რომ...

მოგონებებით სუნთქავს ხაშური,
წარსულის ფურცლებს
შლის ქარი შლეგი,
რაღაც გროშისთვის, კაპიკებისთვის
ნუთუ შენს ტილოს განეშორები?
აფერუმ, შენს სულს, შე მოღალატევ...
და უსუსტესო შენი გონებით...
... და კვლავ კანკალებს გაწვდილი წელი...
მავანი ტაძარს გვერდს უვლის თანაც,
სატანის ხარხარს ყურს უგდებს კდემით,

ყურს უგდებს ლხნით...

– ნუთუ შენს გარჯას დაადებ ფასს და
შენს სილამაზეს განეშორები?

– მაშ, რაღად უგდებ ხურდას მათხოვარს?

ყურს კი ჩიტების სამო უღურტულს?

რად ელოდები შენ ტკბილ მაცხოვარს,
შიშმი ნაშობი ბედნიერებით?

და ამაოა შრიალი ხეთა,

სასწაულებსაც ნუ ელოდები,

გულს კი წუხილით ნუ გაიხეთქავ!

მე ახლა მესმის ფიროსმანის და

მე ახლა მესმის გალაკტიონის

დღესაც ჩურჩულით მიედინება

წუთისოფელი, როგორც რიონი...

და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ჩემთვის,

რა გულგრილია ყოფიერება.

კიდევ კარგი, რომ რწმენის სიმბოლოდ,

კვლავ მეგულება თეთრი სიონი!

სამშობლო

ყველა ტკივილი შენით იწყება,
რამეთუ შორს ხარ და საოცნებო...

ხანდახან აზრის ძაფი მიწყდება,

ავყვები როცა ბობოქარ ვნებებს,

ნუთუ არასდროს დაგვიბრუნდები

შენი ღშკით და შენი ხახულით,

ზარზმის ზმანებებს იმედს ვეძახი,

ჩემი მომავლის უთქმელ საუნჯეს.

მე, რა ვარ, ერთი წვეთის წვეთიდან

ამოტყორცნილი პატარა სხივი,

ოლონდაც მაშინ, როცა მზე მიმზერს,

მაგრამ რადგანაც შენზე ფიქრებს

მანებებს ღმერთი, ბედნიერი ვარ,

უფლება მაქვს ვუმღერო იმედს,

მზის სხივივით მოწერიალეს
და გამჭვირვალეს.
შენ დაბრუნდები, დაბრუნდები,
შენ აღსდგები, შენ ამაღლდები!
მე სიხარულის აღმართებით
შენაძლე მოვალ,
ფეხშიშველი, ცრემლებით სავსე,
ბედნიერების საგალობელს
ზეცად ავტყორცნი,
მამულო ჩემო, რამეთუ შენ ხარ
ჩემი ჯვარი, ჩემი ატოცი.



ხელისუფალნი თავს იმკობდნენ
დიადემებით,
ერთგულ ქვეშვრდომთ თან
სახრჩობელებს მიადევნებდნენ...
და იყო რისხვა, და იყო შიშიც.
იყვნენ დევნილნი, იყვნენ
მდევრებიც...
და სისხლიანი პერგამენტებით
დროის აღნუსხვა
პილატეს ცრემლით...
ტროას ცხენებზე
ახლაც მხედრობენ...
და იღესება ცეცხლზე მახვილი...
ღმერთთან მორკინალ იაკობივით
ლაპარაკობდნენ ღმერთის სახელით —
ისინი, ვისაც არასდროს სწამდათ
და ოდითგანვე იყვნენ გამცემნი...
კვლავ ძველებურად აღმართეს ჯვარი
და კვლავ დგას დროი ცოდვით დაცემის
ისტორია კი თავგამოდებით
ააფრიალებს კვლავ ყალბ ნაწერებს,

კვლავ მოუნდებათ ცაში ნავარდი
და აღადგენენ დამსხვეულ კერპებს,
ვიღაცა ისევ ჩადგება კვალში
სამშობლოს ტკივილს გაინაწილებს
და მერე, როცა მოესურვებათ
მრისხანებისგან დაქანცულ დენდებს
კვლავ ჩამოხსნიან ჯვრისგან იესოს
ხელშეუხებელ წმიდა ნაწილებს.

ჩემი სოფელი

ჩემი სოფლის ორლობეში
თავსაფრიან ქალის შუქით
მომეგება ნიავქარი
შარი — შურით.
მომეგება, მოძაძახა
— საით, ქალო?
— სახლისაკენ, სახლისაკენ
ნიავქარო.
შემომცინა, გადამისვა
ხელი თმაზე,
უცბად თვალი შემიჩერდა
გვირილაზე,
ტყემლის ძირას თეთრ კაბით
რომ მიყუჟულა.
მივეფერე, წამოვწექი ნამიანზე
— მიყვარხარო, მწვანე მდელომ
მიჩურჩულა.
და მივხვდი, რომ კენჭიც მიყვარს,
ამ მიწაზე კენჭიც მიყვარს
თავზე მეტად,
ლურჯო ცაო, კამკამაო!
ახლა ვხედავ, ლექსის წერა
თურმე რისთვის დამებედა.





ვისაც ღმერთი აწუნებს და მაინც მისგან გარბის...

* *

შენც დასჯილი ხარ,
ხომ არ გვინდა
რომ გადარჩი
ბედის ტყვეობას?
შენი სასჯელი მსუბუქია
და ცოდვისფერი...
და ისევ გინდა გაიხსენო
ბავშვობის წლები,
მაგრამ გაშინებს
შენ ლუციფერი.
ვფიქრობ, ერთმანეთს
რაღაცით ვვავართ,
ალბათ მიტომაც
ვეღარ ვცილდებით...
ხომ არა ვცდები?
ხომ არ ვცივდები?
რად მენანება ის, რაც
ჩემი არასდროს იყო?
და სულ ამაო ოცნებებით
თავს ვისულელებ?



წყალნი წასულ—წამოსულან
ქვიშას ჟანგი მოდებია
ცაში მჭახე რაღაც ისმის,
ამ ეპოქის ოდებია...
ჭიპი? — გარყვნილების ჩიპი,
თინეიჯერთ მოდებია,
გაზაფხული მოდის, მაგრამ
გულზე ცეცხლი მომდებია.
გამორჩეულ მწვერვალებზე
მავანთ — ზღაპრულ ოდებიანთ
რაღაც უცხო ჩაღვლარჭნული
ლექსი მოუბოდებიათ.
მღერიან და რას მღერიან?
ცეკვავენ და რას ცეკვავენ?
წაიკითხავთ? გაგაურულებთ,
— რომელ მზეს ელოდებიან?

მაგრამ სატანის კისკისიც ისმის

რა აცინებდა ნეტავ სატანას?
ტკივილისაგან დაგრეხილ სხეულს
მშვიდად აცლიდა სიკვდილი ძალას,
ამოდიოდა სული ხორციდან
და უხმო სევდას ქარებს ატანდა.
წიოდა ქარი გულისწამლებად და ვიშვიშებდა,
ტოტებს ილეწდნენ ტირიფები გლოვის ნიშნად
და თმებს იშლიდნენ.
ჩამოდიოდა მიწად ზეცა
გულმკერდს იხსნიდა
და უცნაურად კისკისებდა...
რა აცინებდა ნეტავ სატანას?
უკანასკნელი ენთო სანთელი
და საკმეველის თავბრუდამხვევი
კორიანტელი...

წამებულ ქრისტეს სტკიოდა
მხოლოდ შენი სათქმელი
და თრთოდა სული –
უპანასკნელი თოვლის ფანტელი.
და აპა, ჯვარცმა,
და აპა, სისხლიც
ო, რა მძიმეა წყეული ხორცი,
გზა გოლგოთისკენ იწყება ცისკრით,
გზა გოლგოთისკენ მთავრდება ცისკრით!..
მაღლდება სული ჩუმი და მორცხვი,
მაგრამ სატანის კისკისიც ისმის,
მაგრამ სატანის კისკისიც ისმის!..

♦ ♦

ვისაც ღმერთი აწუხებს და
მაინც მისგან გარბის,
ცოდვილობს და უცოდველი
კრავივით დგას კართან,
თეთრ სინათლეს დაეძებს და
თეთრ ნათებას დარდობს...
საკუთარ თავს აწამებს და
უცხო ძაფებს ხლართავს,
სურს, რომ რაღაც დიადი თქვას,
სურს სამყარო მართოს...
ის ვერასდროს ვერ გაარჩევს
მტყუანსა და მართალს,
არმაგედონს? ნუ ეხებით,
თვით უფალი მართავს.

აღსარება

დორის მონობა
სასჯელია
და არა ჯილდო,
თორემ დაშლილ
სულს

ღვთის ლოდინში
ამაოდ მდრტვინავს,
კივილ-კივილით
რომ ამოსდის

გამხმარ ხორხიდან,
რა შეუძლია მოუტანოს
კაცობრიობას?

სიყვარული თუ
ნუგეში და
იმედის ზეცა?
მეორედ მოსვლის
განგაში, თუ

როგორ შევხვდეთ
ახალ მოვლენებს?
დაგაგვიანდათ. . .

ყველაფერი დატრიალდა
წამების წამში...

ჰოი, საბრალო
ადამიანო,

რა სუსტი ხარ და
რა ადვილია შენი ცდუნება...
მე კი... რომელსაც
მუდამ სწამდა

მეორედ მოსვლის,
ბინძურ თამაშად ჩავუთვალე
ზვეწნა – მუდარა
გვირგვინ – კაცთა...
– ნუ დაეცემით,

სულით ხორცამდე
— ნუ დაეცემით!
თქვენ კი მხატვრებო,
რამდენიც გინდათ
იცოდვილეთ,
 ხატეთ სულები,
რამდენიც გინდათ,
ცალკეული ხატეთ
 ასონი...
დაშალეთ მთელი...
 სისხლის ფასად
მოიმკეთ ოქრო...
თქვენ ვერასოდეს
გადაარჩენთ კყცობრიობას,
რადგანაც ღმერთი
 ვერ ვიგრძენი
თქვენს წვალებაში.
რადგანაც ღმერთი
 არის მთელში და
სრულყოფილში,
რადგანაც ღმერთი არის სულში
 და არა ხორცში.

2011 წ. 24. 6



ჩაპყურებ ჭიქას, ბოროტსა და
მიმზიდველ ჭიქას,
სატანის ძალით იღუმალს და
მორთულს ხლართებით
და ვერ გრძნობ, როგორ
კარგავ ღვთის გზას და აბნეული,
ტაძრის ნაცვლად
ჯოჯოხეთში მიემგზავრები...

ლიტერატ

მიშველე,
გადამარჩინე,
გზა სინათლისა მაჩვენე
რწმენის პატარა ნარჩენი,
სიმართლის წმინდა სანთელი,
თორემ სიყალბეს
მაჩვევენ...



ობობასავით ყველა თავის
დასასრულს იქსოვს,
როგორც დასაწყისს...
სანამ საკუთარ ტკივილებში
თავს ჩამოიხრჩობ,
იქნებ შენ ირგვლივ
კიდევ ერთხელ მიმოიხედო.
გაქცევას მუდამ მოახერხებ,
რა გეჩქარება?

ო, პოსეიდონ

ო, პოსეიდონ გულში ტკივილებს
შენ არასოდეს მალავ,
ღელავ, ბობოქრობ, ქარიშხლიანობ
ანთხევ ბოლმას და ვარაშს,
ფერად კენჭებით ქარგავ ნაპირებს,
ლამაზთვალება კოლხთა,
ო, ღედამიწავ, რას ჯავრიანობ,
ნეტავ, ასე რას ოხრავ.
ხომ არ მოუხმობ სატანის შვილებს?
ომის, ქარ-ცეცხლის ღრო — უამს?
ო, პოსეიდონ! ეს სილამაზე
ხომ არ დაგვრჩება ოხრად?
ზევსამდე ადის ტალღები შენი
სამდურავის და კგნესის,
ო, პოსეიდონ სცადე დაცხრობა,
შეწყვიტე ნოხევა გესლის!
ისე ბნელია სამყარო შენი,
მაინც არავის ესმის.

ავტოპორტრეტი









შენ ციურ ძალთა მპყრობელი ზარ...

♦ ♦

შენ ჩემი ყავარჯენი ზარ,
ჩემი იმედის ზეცა,
შენით ჩადის და ამოდის,
ჩემი მთვარეც და მზეცა.
მინდა რომ მუდამ მეძებდე,
როგორც სურვილის წყაროს,
ჩემზე ერთგული არვინ გყავს,
ისე მე გავიხარო,
ვარსკვლავთ ჯარს
ფიქრი გავანდე,
ღრუბელი ჩემს ჯავრს ჯავრობს,
შენი სინათლის მონა ვარ,
ჩემო რწმენავ და ჯვარო!

ანას

შენ ციურ ძალთა მპყრობელი ზარ
ლოცვად სულისა,
იისფერ სიოდ მობერილხარ
საუკუნისად...
შენს სიმღერებში ორთიან სხივნი
სიყვარულისა,
შენ ანთებული სანთელი და
მზე ზარ უნისლო!

ფიროსმანი

გმადლობ შენ, ტურფა მარგალიტავ,
ნიკალას მარგალიტო,
ვარდებზე ვინ არ გიჟდებოდა...
შენ კი ვარდივით ნედლი და ლამაზი,
ჭაბუკ მხატვართან შეხვედრას ელოდი.
ის კი დუქანში მუზებთან თამაშით,
ცლიდა თასებს და მღეროდა...
დრო კი გარბოდა, დრო დაუნდობელი,
ვით ბედისწერის ირიბი ღიმილი,
ნიკალას ულვაშებს ვაზის ნაუური,
მარგალიტებივით ენთო...

მთვარე ღრუბლებში...

ლამის აჩრდილები უნაზეს ოცნებებთან

ეგდო...

და სიყვარული ნიკალას თვალებში

რა ლამაზი იყო, ღმერთო!

— მე ჩემი თავი გადავირჩინე...

თქვა და ტუჩებზე იგბინა.

საწყალო! უბედურო!

შენ მარტოობის ტრუბადურო,

საშინელ მომავალს ქადილობ,

შენი ოცნებების ლამაზი მომღერალი

გელის და შენ კი სადილობ,

ეგება სიფხიზლეს გაურბოდი,

ღვინოში ექებდი სიმშვიდეს...

და შენს ცხოვრებას ანიავებდი

არავინ არაფერს გიშლიდა.

— ნიკალა! ზოგისთვის ეს ცხოვრება

რა ამაზრზენია,

ზოგისთვის ზურნა და დუდუკი,

შენს სურათს ამრეზით შეჰყურებს

ქუჩაში ვიღაცა დუნდუკი.

— ნუ სწუხარ, ფერწერის რა ესმით,

რა ესმით ფუნჯის და კალმის
იჩქარე! ოორუე ეტლში ჯდება,
ლოდინით დაღლილი ქალი,
იჩქარე! ბორბლების სმაურში დნება,
ფრანგული სუნამოს ვნება
და ფარჩის შრიალში
დრომ ისევ დაგასწრო...
შენს სულში იმედი კვდება...

2008 წ.

სოსო ჯინჯიხაშეილს

ჩემს ხატვის პედაგოგს უნივერსიტეტში.

მე გაგახსენებთ ყველაზე მაღალ
ჯადოსნურ დარბაზს,
სადაც სტუდენტებს
თქვენი სულის თბილ პალიტრიდან
ხელგაშლილად უნაწილებდით
საკუთარ ფერებს...
და ჩვენც ვხატავდით შთაგონებით
ძალიან ლამაზს...
მამულის ველებს,
ვხატავდით გრძნობით
და ამღერებით,
ტილოს,
რომელსაც მხოლოდ
ნაზი სული ამშვენებს,
ვარქმევდით სახელს.
თქვენ გიხაროდათ
ჩვენი წინსვლა,
მზისკენ სწრაფვა და
გვაშველებდით ხელებს,
როგორც პატარა ბავშვებს...
ახლა კი, ახლა...

შორეულს და
 ძალიან ნათელს
გიხსენებთ, როგორც
 ცისფერი ტაძრის
ბრიალა სანთელს.
— ვიცი, თუმც შორს ხარ,
საქართველოს ტკივილით ნათევს,
ცრემლებგარეულ
 სიყვარულის
მძიმე განცდებით,
მონატრების და მოთმინების
 ღამეებს ანთებ,
ღამეებს ანთებ
ორი ქვეყნის განთიადებით.

ჩემს მასწავლებელს ევგენია ტაბუცაძეს

შენი დაღარული შუბლის
სევდაშერეული შუქით —
გაგინათებია გული,
გაგინათებია გზები...
თუმცა დაგლალვია მხრები
თუმცა დაგთოვაა თმები —
მაინც იღიმები ტკბილად,
მაინც ოვალნათელი მხვდები.
შენ რომ შემაყვარე ენა
ჩემი ველების და მთების,
შენ რომ ჩამინერგე რწმენა
მეგობრებისა და მშების,
შენ რომ შემაყვარე ფრენა
ნიავგარეული ფრთებით —
ახლა იმ სითბოთი ვდგავარ,
ახლა იმ სითბოთი ვთბები.
ღმერთმა გაგიგრძელოს გზები,
ღმერთმა გაგიმრავლოს წლები,

მზემდე ამაღლებულ ფიქრში,
წმინდა სანთელივით დნები.
შენი დაღარული შუბლის
სევდაშერეული შუქით
გაგინათებია გული,
გაგინათებია გზები.

კობა გურული

ლეგენდარული საბურველით
ჩამობურული
— კობა გურული...
საჭრეთელით და სულით, ხორცით
უფლის გონება,
კობა გურული — ცის და მიწის
ზეშთაგონება...
თხემით ტერფამდე
ლვთის წინაშე
ლოცვით დამდგარი,
მაგრამ ტკივილით მამულ — დედულის,
განზე გამდგარი.
არ იზიდავდა ამაოების
ტაშის გრიალი,
კობა გურულის შემოქმედება —
„ვეფხვის ღრიალი.”
კობა გურული — ლვთის იმედი,
ლვთის სიყვარული,
კობა გურული ლვთის სიამაყე
ჩუმად, ფარულად.
მთელი სამყაროს აურზაურის
გულში დამტევი,
ქვეყნის ტკივილით,
ღაპაღუპით ცრემლი რამდენი
დაშრა მელანი, გაშრა ფურცელი,
დარჩა სამყარო ამოუხსნელი...

და გაოცების ბილიკების
ლამაზ თვალებმა,
ძლივს აიტანეს უეცარი
გარდაცვალება.
თუმც მოლოდინის
მუდამ ჰქონდა
გულში ღარები,
და დადიოდა ვით ღმერთკაცი
ნაიარევი.

დათო წიქარიშვილს

♦ ♦

ცამ საიდუმლო გამანდო ღრუბლით,
ალბათ რამდენ ხანს დაჲქონდა უბით
და ფესვიანად მოთხრილ ჭირიფში,
ვერ შევიცანი შენი სიცოცხლე,
ახლა რომ მზისკენ მტრედივით მიჰქრის...
და მეგობრობის ბოლო ფურცლებმაც
რა შემაზრზენად ჩაიშრიალა...
გულში კი დარჩა ღია ჭრილობა,
თითქოს უცხოსი... შენი კი არა!
ქართველი ისევ ქართველის სისხლში
იღებავს ხელებს და მტერს ახარებს,
თრთის საქართველო – მოკლულთა დედა,
და მკვლელთა დედაც... ქარი ხარხარებს...
კაენის ცოდვაშ შეძრა ცის კარი,
საიდან ქროდა ბოროტი ქარი?...
სულით ხორცამდე, თხემით ტერფამდე
კაი ქართველი ბიჭია მკვდარი.

კობა გურულის
პორტრეტი



დედაჩემი



ღრղ უებარი წამალია ყველა ტკივილის...

• •

გზები სავსეა ლოდინის
მთებით
ყოველ ქუჩაზე ვიღაცას
ვეძებ...
თითქოს ლამაზი ოცების
ფრთებით
დავფრინავ სიცხით დახეთქილ
გზებზე.
თითქოს ყოველ წუთს
ვიღაცა მეძებს,
მეც თითქოს ველი სასურველ
სტუმარს,
მაგრამ ლოდინით დაქანცულ
ველზე
დგანან ზეები, დგანან და
სდუმან...
აღარ აწვალებს ტირიფებს
სიო,
აღარ მღერიან ფურისულები,
და თეთრ ღრუბლებში
აფრენილ სიონს,
თვალს ვერ ვუსწორებ
შერისხულივით.
დაქანცულია ლოდინით
გზები,

ზეცას ანკარა ცრემლები
სცვივა,
ჩამოუყრიათ ენძელებს
ფრთები
და უცნაური სიცივით
სცივათ.



ნელი ჩურჩულით
სწყდებიან ტოტებს
და დედამიწას უბრუნდებიან...
დრო კი ყველაფერს
ქარის ფრთებით
გვის და ასწორებს...
დრო უებარი წამალია
ყველა ტკივილის...

1975 წ. 5. I



ცა იღრუბლება,
მზე იქუფრება
მოჩანს გაფრენილ
მერცხლის გუნდები,
დღემ ნისლიანი
ჩაიცვა კაბა,
შენ მაინც ნუდარ
დამეუბრები...

დედას

ძნელი ყოფილა
შეჩვევა ცრემლთან
და მარტოობის ზედრი,
შენ მაინც სად ხარ?
ასე უღმერთოდ
რად მიმატოვე დედი?
ალბათ შენს გულზე
ამოსულ იებს
ახლავს ტკივილი მწარე,
მსურს მოგეფერო,
მაგრამ რად მცივა,
შენს ნაზ სულს ვენაცვალე.
ვბრუნდები უკან
ხელმოცარული, ვრწმუნდები,
აღარ მყავხარ,
წარსულ ღიმილით,
კაბის შრიალით
ნიავის სუნთქვას ჰგავხარ,
შენი ლამაზი თვალების მადლით
ახლაც ამაყად ვდგავარ,
როცა გიხსენებ, რწმენით ვიგსები
ჩემი იმედის ზღვა ხარ.
ძნელი ყოფილა
შეჩვევა ცრემლთან
და მარტოობის ზედრი.

2011 წ. 18. 1

დიალოგი საკუთარ თავთან

— ძილი იქ, სადაც უხარიათ,
შეხვდი მას, ვისაც უყვარხარ,
ილოცე მხოლოდ ღვთის სიყვარულით,
იყავი ისეთი, როგორიც ხარ

— ნუ მოირგებ ნიღაბს.
— ითამაშე მხოლოდ შენი როლი.
სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფ,
მარტო შენი თავი ნუ გახსოვს,
გაუფრთხილდი სხვასაც.
თავი არავის მოაბეზრო,
„დააკაკუნე და გაგიღებენ კარს,
მაგრამ ზედმეტსაც ნუ იზამ.
ნუ წუწუნებ, მტირალა არავის უყვარს
იყვავი ლალი და თავისუფალი.
ხშირად, რაც შეიძლება
ხშირად უთხარი მადლობა უფალს,
დღევანდელი დღის გათენებისთვის.

2004 წ.

• •

ფიქრი ფიქრზე ამედევნა,
გული დიდხანს ვაწამე,
ერთი ლექსის უთქმელობა,
რა ხანია მაწვალებს,
ველზე სიო დანავარდობს,
ტყეში ქარი წანწალებს,
ფიჭვი ცრემლებს აღვარღვარებს,
მუხლი სტკივა ნაწალდი.

19 77წ.

• •

გულზე დამეცა მწუხარე ცრემლი,
ალბათ შეხსნა საკინძე ღრუბლებს
და დედამიწა მზესავით ცხელი
გრილ-გრილ წვეთებით

ისველებს გულ-მკერდს.
იხსენებს წარსულს,
სისხლიან დღეებს,
საუკუნეებს აწ გარდასულებს,
ქაფქაფა წვიმებს, ქაფქაფა ვნებებს,
ომის ქარ-ცეცხლში ამოსულ იქს...
კაცებს ნათელს და ბუნებით მკვლელებს
და ზეცისაკენ აღმართულ ხელებს.
ხომ არ სჯობია, ვუმღეროთ იმედს,
იმედს, რომელიც არასდროს კვდება.
ხომ არ სჯობია დავკოცნოთ მიწა?
როგორც მზის სხივთა ადგილის დედა?
ხომ არ სჯობია, მოვუხმოთ ერთურთს
და სიყვარულით ჩავჭიდოთ ხელი,
ერთად აღვმართოთ მომავლის დროშა,
ერთად ვაშენოთ ოცნება ჩვენი.

2011 წ. 18. 1

მამაჩემი

რა მტკივნეულად მახსენდება
მამაჩემის ლურჯი თვალები,
მრავლისმეტყველი ღიმილი და
განშორების მწუხარე განცდა...
და მე ფიქრების ღრმა მორევში
ვეძებდი საშველს,
მაგრამ ამაოდ...
მან გამიღიმა და წყნარად მითხრა,
წარმავალია, შვილო, ყოველი რასაც ეზები...
ნუდარ მაჩერებ, ამომიშვი,
ჩემთვის ხსნა, მხოლოდ განტვირთვაა მატერიისგან...
და შორს გახედა რაღაც უხილავს,
მიღმიერს ჩვენგან და მიუწვდომელს.

თითქოს რაღაც წამს მე დაგავიწყდი...
მწუხარება ჩემი იყო ძალიან დიდი, —
და მას კი ადგა უცხო ნათელი,
შიშისმომგვრელი და უცნაური...
და გავიქეცი...
გავურბოდი უსუსურობის უხილავ გრძნობებს,
ღვთიურ განსაცდელს,
ზღვარს — რომ უშიშრად გადააბიჯა მამამ...
რადგანაც გვერდში ვეღექ ურყევ ყავარჯნად,
როგორც სიცოცხლის ცელქი დარაჯი
და დამიტოვა სიტყვა, რომელმაც
მაგრძნობინა განგების ძალა...
მე კი სიკვდილთან დაზავება
რადგან არ შსურდა
და ზეციური განაჩენიც რადგან აღსრულდა...
სიკვდილ—სიცოცხლის ზღვარზე დგომის
მზარავდა განცდა.



მე სიცხიანი შუბლით ვწევარ
და ისევ გელი...
არავინ არ ჩანს...
მხოლოდ დედის მხურვალე ზელი.



შენი ლიმილი არაფრისმთქმელი,
ჩემი ოცნების ხურდა...
არა და ტვინი შენი თილისმით
ხურდა, ხურდა და ხურდა.
შენ ვერ გაიგებ ჩემს სილამაზეს,
მე ისე ადრე წავალ...
წავალ და სული ციცინათელებს

აედენება წამად.

ჩემს გულისტყივილს შენ ვერ მოარჩენ,
ძვირი აქვს ფასი წამალს...

ნუ გეშინაა, შენ შენი გზა გაქვს,

მე სხვა რელსებზე ვდგავარ,

ბოლოს წამიღებს უმისამართო

თმებგაწეწილი ქარი,

დარჩება მხოლოდ მოგონებები

ერთი პატარა ქალის...

ბედს ვერ შეიცვლი,

ვერც დაამარცხებ,

თუნდაც ებრძოლო მუდამ

და პროზაული პრელუდიები

გადაგექცევა ხუნდად.

და ვფიცავ უფალს,

ჩემს სალოცავებს.

და ორდანეს წმინდა ნაპირებს,

მიყვარხარ, მაგრამ

სათუთ გრძნობებზე

ხმის ამოღებას აღარ ვაპირებ.

• •

ჯვარზე გაკრული ქრისტე,

ჯვარზე გაკრული რწმენა,

იჭვი ისევ და ისევ,

სისხლი და ჭირთათმენა...

როგორ გავუძლოთ ტკივილს,

ამდენ მტრობას და ღრენას?

მართალი კაცის ჩივილს

ზომავს იუდას ენა.



გზა გამიგრძელდა...

სადღაც სულ ახლოს

მეგულებოდი ნუგეშად ჩემდა,

ყაყაჩოების ფერით ვთვრებოდი,

მჯეროდა, ლოცვა გადამარჩენდა.

რწმენის ტაძრებში ანთებულ სანთლებს

მეც შევუერთე ჩემი სანთლები,

მთვარის ჩრდილებთან

დაჩოქილ ლოდინს

მუდამ შენს ლამაზ სახელს ვარქმევდი.

გზა გამიგრძელდა...

მოულოდნელად გამოჩნდა

სევდის მწუხარე სახე,

შენც იქვე ახლოს ყელმოლერებით

იელვე, მაგრამ ვერ დამინახე.

გზა გამიგრძელდა...

სადღაც სულ ახლოს

კვლავ მეგულები

იმედად ჩემდა!

1977 19.8



ისე უნდა გალიო

შენი წუთისოფელი,

ბოროტების ჩადენა

გულში არ გაიკარო.

სიკეთისთვის ბრძოლაში

ღამები ათენო,

რასაც ღმერთი გიბოძებს

სიხარულით იქმარო.



თქვენ გაგიტაცათ დემოკრატიამ
და გავიწყდებათ ხალხის უფლება...
და ორთაბრძოლის ეპლიან ფონზე,
ნელ-ნელა კვდება თავისუფლება.
ქარს დაუფლითავს სიძართლის დროშა,
კვლავ დაბურული მომავლის გზები,
დოლაბი ბრუნავს... ხან ფქვავს, ხან როშავს,
აღარ მღერიან ფირუსულები.
და განაბულნი დგანან ხეები,
მზის მოლოდინით დაფიქრებულნი,
მთვარე კი ჩრდილებს ეთამაშება,
გულგრილ დღესაგით გაფითრებული.
და ყოველ დროს აქვს თავისუფლება,
როგორც მომავლის თვალი ნათელი,
და იწვის მარად ჩამოღვენთილი,
ტაძარში წმინდა თაფლის სანთელი.

1993 წ.



მე ვაპატიებ ყველას ყველაფერს,
მაგრამ ლალატს კი ვერ ვაპატიებ...
ავანთებ სანთლებს, წმინდა კელაპტრებს,
სულ ღვარღვარება ცრემლით ნატირებს.
მე ვაპატიებ ხორცით დაცემას,
სულის წარწყმედას ვერ ვაპატიებ,
ნუ მკორტნით, ნუ მსჯით
და ნურც მაწამებთ,
როგორმე ჩემთვის მარტოდ დამტოვეთ.
თუ გაგიჭირდეთ, მოხედეთ ჩემს გზას,
უსჯულოებას ზურგი აქციეთ,
ნურც აღსარების ნუ გეშინიათ,
დამიბრუნდით და კვალავ გაპატიებთ.
აივსეთ სული ტკბილ ნეტარებით,

ცისფერთვალება ლურჯი იებით,
ამაღლდით ღმერთში, ამაღლდით ღმერთში,
მორჩილებით და მონანიებით.
მე ვაპატიებ ყველას ყველაფერს,
მაგრამ ღალატს კი ვერ ვაპატიებ!



ჩვენ ერთმანეთს
გალახული ბავშვებივით
დავცილდებით,
გავცივდებით...
იმ გზას მზისკენ
რომ გვპირდება...
ავცილდებით, ავცილდებით...
და ხმაურით
დაღლილ წამებს – განაწამებს,
ყვავილების ფურცლებივით
დავცივდებით,
დავცივდებით!. . .



რაც კი მწარეა ამ გულში და
სიმწუხარეა,
ვაი შენ, ჩემო ბედკრულო თავო
შენი ბრალია,
და არასოდეს, არასოდეს
შეგიბრალებენ...



თქვენ თუ იკადრებთ
ჩემს მოტყუებას,
მე მოვტყუვდები,
როგორც გენებოთ...
თუ თქვენ იკადრებთ,
დამაყარეთ თავზე ნაცარი,
მე დავნაცრდები,
მაგრამ მაინც
ვერ განგიკითხავთ,
რადგანაც ლვთისგან
არ მიძილია ესოდენ დიდი
ძალაუფლება.
თქვენ კი მაყარეთ
თავზე მტვერი,
მე აღარ ვძრაზობ,
როგორ ჰგავხართ
სულით ერთმანეთს...
მაგრამ, რადგანაც
ხორცით ზოგჯერ
დაგემგვანებით,
ავწუწუნდები გალაზული
თქვენგან ბავშვივით.
ნუ მომიტევებთ,
უფრო დიდი
მელის სამსჯავრო.

2009 წ. 1. 2

♦ ♦

გოდების ქედელს ცრემლი
სდის უხმო,
ვინ იცის, სულო, რომელ
გზას უხმობ...
ქრისტეს უწმინდეს საფლავთან დგანან
ეშმაკნი... ხელთ რომ უპყრიათ ჯვარი...
ირიბ ღიმილში მაინც ცრის ცრემლი,
აწუხებთ ჯავრი მათ ლუციფერის...
მზად არის ტახტიც...
ვინ ამოიცნობს, სად დგას მტერი,
ამოიყარეს მათ უპეე ჯავრი,
განძარცვეს, მოკლეს მათ სული ერის
რჩეულთა სული – ქრისტესმიერი.
ამ უღმერთობით გაჯერებული
მიაწყდა უფლის გაღებულ კარებს,
ფეხზე დგას თუკი რამ სულიერი,
თუმცა სატანაც არ ხუჭავს თვალებს.
მაგრამ დადგება დრო ამაღლების
და გააკეთებს სვლას ლაზიერი
მოულოდნელი იქნება დარტყმა
და გაოცდება მოყვარეც, მტერიც,
ოლონდაც ახლა გაუძელ ტანჯვას,
ოლონდაც ახლა ნუ დაეცემი.
შენ გაიმარჯვებ, რადგან ზარ ბრძენი,
რომ ზარ მართალი, რომ ზარ ხნიერი
და ღვთისმიერი!!!

2004 წ.



და ვანთებთ სანთლებს...
და ვანთებთ სანთლებს...
— მერე რა?
მუდამ ანთებდნენ...
და კდემაც მუდამ
თან ახლდა ლოცვას...
— მერე რა?
იქ ცოდვის ველზე
ძველებურად იღვრება სისხლი,
ცრუობენ და ყვლეფენ
ერთმანეთს.
რაც მთავარია, არ სჯიან ჯალათს...
მელიების და ტურების ხროვა...
მზაკვრული ხრიკით
ართმევენ ერთურთს იმ უკანასკნელ
კაპიკებსაც კი,
ლუკმაპურისთვის რომ მოაფარეს...
უბედურება კი არის ის,
რომ ამ ნიღბებს იქით
გადაღლილი, ნაკაცარი
თვალები მოჩანს.
— მინდა ჩავხედო კიდევ ერთხელ,
ვიგრძნო მოძმის შეშლილი სახე
და არ შევნიშნო, როგორ უგებს
მოყვარეს მახეს,
როგორ ირგებს კაენის ხალათს
და ემგვანება უბედურ ჯალათს,
ოო, ნუთუ ყველა დაიღუპა?
დროის ამ მოკლე მონაკვეთში
დაკარგა სახე.
არადა, მზის ცხელ სარეცელზე
ია თვალს ახელს,
როგორც იმედი,
მომავალი გაზაფხულისა...




ჩამოიმარცვლა ჩემი დროის კრიალოსანი...

* *

ჩამოიმარცვლა ჩემი დროის
კრიალოსანი, ჩამოიმარცვლა,
თუმცა ცხოვრებამ
მასწავლა არც რა —
და როცა მივხვდი, მარტოობის
სამეფოში ვიყავი რაც — რა...
გამაურულლა და შეშინებულს
მე ტანში გამცრა...
ეს ვერცხლისფერი ყინულივით
ცივი სასახლე, საღაც
უცნაურ ბედისწერით
რომ შემასახლეს,
და ულამაზეს ჩუქურთმებით
ნაქარგ გასაღებს,
მიწვდის უცხო და საოცარი
ყოფიერება, —
სულ არ ჰგავს ჩემს სულს,
(სიცილით და კისკისით სავსეს...).

2012 წ. 16. 11.



შიში



ადამის სევდა



მე ერთი მუჭა მიჭირავს მიწა –
მიწადქცეული ჩემი სხეული...
ფერფლად ქცეული ჩემი სხეული...
ჩემ ირგვლივ ყვავის გვირილები
ამოზრდილი ჩემი სისხლიდან
ჯგუფად დამდგარან, როგორც რჩეულნი,
ჩემებრ სითბოს და მზესშეჩვეულნი –
და საზღვრებს შორის მოქცეული
საბრალო სული,
საოცრად მხნე და საოცრად ჩუმი,
ელის თავის რიგს, რათა
ხორცისაგან განტვირთულმა
უცხო მხარეში გაინავარდოს...
მე ერთი მუჭა მიჭირავს მიწა....

1988 წ.



დღეს მე, ჩიტიგით თავისუფალი
წავალ, წავყვები ზეცის ნაპირებს,
ვიქნები ჩემი თავის უფალი,
სევდას და ტკივილს გავინაპირებ...
გავხედავ ბილიკს უკვე გამოვლილს,
თვალს ვერ გაუწევდენ
იმ ცელქ აპრილებს,
მერე ქარები ჩემს საგალობლებს
გამახსენებენ და ვიმარტვილებ....

1987 წ.



რამდენჯერ უნდა გავითხარო
ჩემთვის სამარე,
რამდენჯერ უნდა დავიმარხო
მე უყვავილოდ?
კოპტიაობა სხეულით და ზეცის მაქმანით,
კარგა ხანია მივატოვე
ჰადესის გამო...
გაბრაზებული, კართან
მდგარი ავი კერბერი...
ყვითლად უელავს თვალები და
მიზეზს დაეძებს...
და მახსენდება ჯავახაძის
ერთ-ერთი ლექსი
„აცალეთ კარგად გაბრაზდეს კაცი”..
ვბრუნდები უკან...
ყურებს მიხშობს ქარის კივილი,
— რად მაცახცახებს ან მაოგნებს
ეს ცრუ ხმაური?
და უცებ ვგრძნობ რომ
მოვდივარ გონზე
განა ლირდა შიშად, ეს ყოფა?
და ახლა ვფიქრობ,
ვინ ვარ, ანდა, რისთვის მოგედი...



ამ ხუმრობა ხუმრობაში
გაივლიან წლები,
ამ ხუმრობა ხუმრობაში
გავჭალარავდებით
ამ ხუმრობა ხუმრობაში
გ ა დ ა მ ა ვ ი წ ყ დ ე ბ ი...

მერე ქარი გამაცილებს
თეთრი ბილიკებით,
მერე სევდად დამირჩება
გაფრენილი წლები.
მერე წავალ, მოგშორდები,
გადავიკარგები!
მერე ვეღარ გაგიხსენებ,
მზეს შევუერთდები.

• •

მოლოდინი ბუხრის პირას
მიმჯდარა და
ქექავს ნაცარს...
გათენდება,
გათენდება...
გაბრწყინდება?
არც სჯერა და
სჯერა არც – რა.
სჯერა არც – რა.
ქარმა სარკმელს
დაუბერა
ისე მკაცრად,
მოლოდინი შეშინდა და
ტანში გაცრა.
იძედები კუთხე –
კუნჭულს მოდებული
აირია,
დაირია,
დაიკაწრა,
სასიკვდილო
სარეცელი
დგას და ელის...

მოსთქვამს ქარი,
არავისგან არაფერს არ
გამოელის...
ნელა – ნელა იფურცლება
კალენდარი...



მე მზის სარეცელს გავექმდ
შიშით გულამოვარდნილი,
შენ მღელვარება მიბოძე,
ზეცამ კი ღრუბლის მანდილი.
სულს ოცნებებით ვივსებდი
შენი ღიმილის ბადაგით,
გამოგაფხიზლე ისევ მე,
უნდა გვერბინა სადამდე?
მენატრებოდი, ცრემლებით
თვალები მქონდა ავსილი,
ვერ მომაცილე ტკივილი,
ვერც აფროდიტეს სასმელი.
გრძნობათა დიად საუფლოს
ვიყავ ბოლომდე ჩაფლული,
ზამთრის სუსხიან ღღეებში
მქონდა თაკარა ზაფხულიც...
მერე დამთავრდა ზღაპარი,
ათასმეერთე ღამისა,
ჩემს გულზე გადაიარა
რა ავდარმა და რა ნისლმა,
მაინც ვერ გადაგივიწყე,
დროს ვერ ავუწყე ნაბიჯი...
ახლა კი შენი ჯერია,
– მგონი ზედ გულზე მაბიჯებ.

2011 წ. 2. 4

შემოდგომის ფოთოლი ვარ

შემოდგომის ფოთოლი ვარ,
ძრწოლით მავსებს ქარის ქროლა,
შიშის გამო ვუნთებ სანთლებს,
თუ მომწყვიტა, აღარ მოვალ,
აღარ მოვალ...

ნუოუ, უკვე ზამთრის სუსხმა
ჩემს სულშიაც დაიკანა
წუთისოფლის ტკივილი ვარ,
ცრუ ყოფილა ეს ქვეყანა.
პური... წყალი... სითბო, შეშა!
ყოველდღიურ საზრუნავით,
მეცხრე ციდან ძირს ვეშვები,
მღვრიე ტალღებს ვებრძვი ნავით.
და შეცვლილი გულის თრთოლვით,
ჩემი დილაც ახელს თვალებს,
და გჩურჩულებ შიშნარევი,
– ნეტავ ხომ არ დავიღალე?

2008 წ. 13. 11

✿ ♦ ✿

სან სიყვარულის გამო ვტიროდი,
სან გულგრილობის გამო ვტიროდი,
სან მწუხარების გამო ვტიროდი,
სან სიხარულის გამო ვტიროდი,
ბედნიერების გამოც ვტიროდი
და დაშრეტილი დამრჩა თვალები...



ზეტიალით დაღლილი
ცარიელი დღეები...
დაზურული წიგნივით
ჩაკეტილი სამყარო...
აღარ მოჩანს საზღვარზე
თეთრი სიმაღლეები,
მხოლოდ სევდა უძირო
დაშვებული ზელებით...
ნუთუ უნდა ვატარო
მარად ნაცრისფერები?
მთვარევ, შენც მიმატოვებ?
აღარ მომეფერები?
რა უძირო დარღია,
რა უძირო ზევები,
აჩრდილებთან თამაშით
შიშის ციებ-ცხელება.
ბედისწერის წიგნიდან
ფურცლების ნახევები,
მაცილების ჯირითი,
ბოროტი სახელები...
ყველგან ადევნებული
საკუთარი ჩრდილივით,
მე კი ყველას ვუღიმი
უდღეური ჩვილივით.
ვეღარ გაგიმკლავდებით,
უდიმდამო დღეებო,
ჩემო ცელქო სიზმრებო,
თეთრო სიმაღლეებო.

2010 წ. 6. 6



մի՞նագ օվելու, ծցալո,
մի՞նագ օվելու եռուց,
նշագագ աղջկեցի Նորու,
մ՛զենոյրու դա մորութեա.

1978 դ. 1. 6

Թ Ա Ց Հ Ո Յ Ա Ր

միզդուար...
հեմո շնա նոսլեցն
ճայպարացն,
միզդուար,
 ըացան
արպողնու Նորուունո
ալար միարացն
յև շունու Տամպարուն
Ծկուունեցն
 յայծնարացն,
յուրու վացաց մ՛տուարու
 լուտուր նարեցն...
ծեժնուրեցն զեր քնոցեց
Տեշատա ցրեմլեցնոտ
ցատերուն Տամպարուն,
 ըոցուր դապուրուցն
մուզալեցնուլեցն լունոտ?
ըուցա միուն Տենու
ինցակցացն
 նշուուսկեն
յանցուու Եղունու.
ըոմելու Տանուելու,

რომელი ჭამარი...
იების ნაცვლად
ცრემლების ხევში
ნახანძრალი...
მივდივარ...
მომავლისკენ
აღმართს მიუჟყვები,
ღორღები,
ღორღებში
ეკლები და ქები...
ხანდახან მუხლებზეც ვდგები,
ჭირის ოფლად ვიღვენთები,
ტოტებს და ფესვებს
ვეჭიდები...
— რაღა მე ღმერთო!
რაღა მე, რაღა მე...
ვერ ვხვდები...

• •

ღამეული ფიქრები
დილ—დილობით ქრებიან,
დაღლილი ოცნებები
აღარ მეტანებიან,
გაფრენილი დღეები
აღარ მენატრებიან,
მხოლოდ ღრუბლებს
მივყვები, ღრუბლებს
ცისფერფრთებიანს,
უხილავი სამყაროს
ზღაპრებს რომ მიყვებიან.

2013 წ. ივლისი



შენც დამივიწყე,
ცელქმა ღრუბელმაც
მოულოდნელად შეკრა კამარა,
საბრალო გულმა სასოწარკვეთით
ნაზი გრძნობები დაასამარა
და დავრჩი ასე ფრთხებდამსხვრეული
გაუგონარი სევდის ამარა.

2012 წ. 08

როგორ მინდა

როგორ მინდა საქართველოშ
რომ დამიკრას ტაში,
როგორ მინდა თქვენთან ერთად
ვისეირნო ცაში,
გამოგტყუო ღრუბლებს წვიმა –
სიყვარულის ცრემლი
და ჩემს გრძნობებს
ვაზიარო პოეზიის მრევლი.
შემოქმედის მაღალ ტახტზე
ვიჯდე ანასავით,
სიოს ჩურჩულს განვიცდიდე
დედის ნანასავით.
საქართველოს მივაგებო
აღგზნებული გული,
კიდევ დიდხანს მიხუტებდეს
შენი სიყვარული.
მზის სხივებმა მომიქარგონ
სადედოფლო კაბა,

ცამ გამიხსნას გულის კარი,
ტებილი და ანკარა,
მოდიოდეს თბილი წვიმა,
ნაზი და მზეგარა.
შევაღწიო მზის სიღრმეში,
საიდუმლოს მაცნემ,
ხან რომ ცრემლი
მიწვავს თვალებს,
სევდის კაბას მაცმევს,
ხან კი ფრთხებით მაჯილდოებს
მეცხრე ცაზე ვდგავარ.
მაშინ, როცა სუსტი ქალი
ქარიშხალას ვგავარ.
ხოლო, როცა ფიქრით დაღლილს
მომერევა რული,
ღმერთო, მაშინ გევედრები,
არ გამიშვა ხელი,
ღმერთო მაშინ არ მომაკლო,
შენი სიყვარული,
შენი გრძნობა უხილავი,
მარად სასურველი.

2013 წ. 15. 05



სიმშვიდის კაბას
მიკერავს ზეცა,
ხან ფეხზე ვდგავარ
და ხან ვეცები,
თუმც უგულოა
წუთისოფელი,
სასოწარკვეთას ვერ მივეცემი.
გავევები იმ გზას,
მარადისობის თბილ
სავანისკენ რომ მიმიძღვება,

გულს კი მიკორტნის
„შავი ყორანი,”
ჩემი სულით და
ხორცით ვერ ძლება.

2012 წ. 13. 10



სიურპრიზებით სავსე ცხოვრება...
დღეები დღეებს ასდევნებია,
იქნებ კიდევაც გიყვარვარ ჩუმად,
განგებ მარილებ თვალებს ვნებიანს,
ვინ იცის, ღამის ბრძა კოშმარებით
დამთვრალა შენი სივრცე უძირო,
მე კი დავდივარ ფრთებჩამოყრილი,
რომ მარტოობის ზეცას ვუმზირო.
ვინ იცის, იქნებ მართლაც მეძახი,
ცრემლი გისველებს თვალებს ბინდიანს,
ვინ იცის, იქნებ... მაგრამ ვინ იცის,
დღეები სულ სხვა გზებით მიდიან?
ვინ იცის, იქნებ არც კი გახსოვარ
და გამქრალ ლანდებს ვეალერსები...
და არც გადარდებს ეს სიმარტოვე
და ცრემლიანი სუსტი ლექსები?
მივდივარ, გზაა ძალიან ძველი...
არავინ არ ჩანს მე ხორციელი,
მიხმობს უცხო რამ და მიღმიერი...
და სულ ეს იყო წუთისოფელი...
არავინ მრჩება სულისმიერი?
არც მაძღარი და არც ბედნიერი?
მაშინ ვინა ვარ? რისთვის მოვედი?
ასე სუსტი და ასე ძლიერი?
ასე ბავშვი და ასე წნიერი?...


თიხის ქვები

თიხის ქვებზე დავწერ ლექსებს,
ქაღალდს დავიწყების სუნი ახლავს,
მუზის მოფართქუნე ფრთებზე
სიტყვას ავიწყდება დაღლა.
იქნებ კომპიუტერს ვანდო
ლექსი მომავლისთვის თქმული,
რაღაც არ მგონია სანდო,
სულ სხვაა თიხის სული,
ცივილიზაციების ექო,
დროის უნდობლობას ბაწრავს,
მაგრამ კითხვის ნიშნებს გვაწვდის
და გულს დაუნდობლად კაწრავს,
და უკან ლაბირინთის კვალით
გაწყდებით ირონიულ მზერას....
და იდუმალი და მკაცრი
გვიზიდავს დვთიური ენა.
თიხის ქვებზე დავწერ ლექსებს,
ვეღარ ვანდობ ქაღალდს ფიქრებს,
მომავალში მზეს გავხედავ,
აღარ მოვკვდე ასე იქნებ...
ცრემლსაცა და სიხარულსაც
ალბათ სულ სხვა საზომებით
აწონიან, დაწონიან,
უცხო დროის აზროვნებით,
თიხის ქვებზე დავწერ ლექსებს,
ქარი ფიქრებს ვეღარ წაშლის,
ასრულდება ეს ზღაპარი,
ოცენებები ფრთებს თუ გაშლის,
გაოცების გაოცებით
უღმერთობით ჩვენი დროის
კიდევ ერთხელ გადაშლიან

ფურცელს თიხის სასოებით!
კიდევ ერთხელ შეიგრძნობენ,
სულში ღმერთი როგორ მღერის
და დალევენ სიყვარულით
სადღეგრძელოს გადარჩენის.


• •

სისხლი მიშრება,
ჩემი სული რჩება უსახლოდ...
შენს იმედად ვარ
კუნჭულებში რომ შემასახლო.



ԺԵ






արվազին
մարտզե

დედაშვილობა




პატარა ჩიტი







მწის გული



ცდუნება






გზა უსასრულობისაკენ



გუნეთა



ყვავილი



ზღვის პოეზია



შინაარსი

მომღევს ზეცა კელაპტრებით

ლექსი	7	
* * (სარკიდან მიმზერს ჩემი ორეული).	8	
* * (ქარი დამდევს თმებს მიწეწავს)	9	
(დრო გარბის ცივად)	9
სიმღერა	10	
* * (იქ სადაც სიდიადეა).	10
* * (ქვეყანაზე ვერ ნახავ)	11
ბავშვი	11	
* * (დამე ყოველთვის).	12
ივლისი	13	
* * (ოღონდ შენ ნუ გაბრაზდები).	14
* * (მაქვს წამიერი ეჭვიანობა).	14
* * (სიყვარულის გაკვეთილებს...).	15
* * (გუშინ წვიმდა...).	16
* * (სულში ღმერთი თუ არ სახლობს).	17
* * (ჩემი წილი მუგუზალი)	17
რას შეიძლება უმღეროს კაცმა.	18
* * (თვალს დაგხუჭავ).	19
* * (შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ).	20
* * (დამდნარი ზოლი ვარ).	21
* * (ვიყავ წარმართი	23

ლაპაზი მაქმანით მორთული ფარჩები

პოეტი	25	
* * (პატარა გულში გალახული ბავშვივით იჯდა...).	26
* * (ფარდაუხდენელ ოცნებების...).	27
* * (ხელები მზისქენ გაწვდილი პეშვით).	28
* * (იისფერ ტალღებს ესვენა მთვარე).	29
* * (ფერადოვანი სხივების ტევრში).	30
ლუმელი	30	
* * (ღმერთო მიშველე).	31

* *	(ჩამოიცლის ქარი).	31
* *	(მენატრები).	32
* *	(მე ვარ მზის სხივი).	32
ავტოპორტრეტი.	33	
* *	(არის ლამაზი სასახლე).	34
* *	(წვიმაა ზეცის სიძღერა).	35
* *	(რატომ, რატომ, რატომ?).	36
* *	(ფართხალებს გული).	36
* *	(ღმერთმა ნუ ქნას).	36
თოლია.	37	
ყვავილები.	37	
არ მეგონა	38	
* *	(რად ვერ გავუგე წუთისოფელს).	39
* *	(ვზივარ თბილად ბუხრის პირად).	39
ხეები.	39	
* *	(ეს ცხოვრება სიზმარივით გამივლია).	40
მინდა შეგხვდე ხოლმე ბედად.	40	
* *	(რად ვერ დავიწყე).	41

ისე ზასხასაა ზეცა სამშობლოსი

* *	(ისე ზასხასაა ისე გამჭვირვალე...).	43
* *	(მზენასვამ და ქარგამოვლილ).	44
სამშობლო.	45	
იმერეთი.	46	
მე ჩემი საზრუნავი მაქვს.	47	
ზალზურ მოტივზე.	48	
ზმა ჩემი ზეციური ოცნებისა.	48	
სამშობლოვ.	49	
* *	(ილია მოკლეს, ზვიადი მოკლეს).	50
კიდევ კარგი რომ.	50	
სამშობლო.	51	
* *	(ხელისუფალნი თავს იმპობდნენ).	52
ჩემი სოფელი	53	

ვისაც ღმერთი აწუხებს და მაინც მისგან გარბის

* *	(შენც დასჯილი ზარ).	55
წყალნი	წასულ - წამოსულან.	56
მაგრამ	სატანის კისკისიც ისმის.	56
ვისაც	ღმერთი აწუხებს და მაინც მისგან გარბის.	57
აღსარება.		58
ჩაჰურებ	ჭიქას.	60
* *	(ღმერთო მიშველე).	60
* *	(ობობასავით).	60
ო,	პოსეიდონ	61

შენ ციურ ძალთა მპერობელი ზარ

შენ	ჩემი ყავარჯენი ზარ.	65
ანას.		65
ფიროსმანი.		66
სოსო	ჯინჯიხაშვილს.	67
ჩემს	მასწავლებელს ევგენია ტაბუცაძეს.	68
კობა	გურული.	69
დათო	წიქარიშვილს.	70

დრო უებარი წამალია ყველა ტკივილის

* *	(გზები სავსეა ლოდინის მთებით).	72
* *	(ნელი ჩურჩულით).	73
* *	(ცა იღრუბლება).	73
დედას.		74
დიალოგი	საკუთარ თავთან.	74
* *	(ფიქრი ფიქრზე ამედევნა.	75
გულზე	დამეცა მწუხარე ცრემლი	75
მამაჩემი		76
* *	(მე სიცხიანი შუბლით ვწევარ...).	77
შენი	ღიმილი არაფრისმოქმედი.	77
* *	(ჯვარზე გაკრული ქრისტე).	78
* *	(გზა გამიგრძელდა).	79

* *	(ისე უნდა გალიო)	79
* *	(თქვენ გაგიტაცათ დემოკრატიამ).	80
* *	(მე ვაპატიებ ყველას ყველაფერს).	80
* *	(ჩვენ ერთმანეთს...).	81
* *	(რაც კი მწარეა ამ გულში).	81
* *	(თქვენ თუ იკადრებთ).	82
* *	(გოდების კედელს).	83
* *	(და ვანთებთ სანთლებს).	84

ჩამოიმარცვლა ჩემი დროის კრიალოსანი ...

* *	(ჩამოიმარცვლა ჩემი დროის კრიალოსანი ...).	85
* *	(მე ერთი მუჭა მიჭირავს მიწა).	87
* *	(დღეს მე ჩიტივით თავისუფალი).	87
* *	(რამდენჯერ უნდა გავითხარო ჩემთვის სამარე).	88
* *	(ამ ხუმრობა ხუმრობაში).	88
* *	(მოლოდინი ბუხრის პირას მიმჯდარა).	89
* *	(მე მზის სარეცელს გავექეც).	90
შემოდგომის ფოთოლი	ვარ.	91
* *	(ხან სიყვარულის გამო ვტიროდი).	91
* *	(ხეტიალით დალლილი).	92
* *	(მიწად იქცევი ძვალო).	93
მივდივარ.	.	93
* *	(დამეული ფიქრები).	94
* *	(შენც დამივიწყე).	95
როგორ მინდა.	.	95
* *	(სიმშვიდის კაბას მიგერავს ზეცა).	96
* *	(სიურპრიზებით სავსე ცხოვრება).	97
* *	(თიხის ქვები).	98
* *	(სისხლი მიშრება).	99

ରେଡାକ୍ଟିଭ୍ ରୂପ
ଲୋକ କାମେଲ୍ ଏବେ

ପରାମର୍ଶଦାତାଙ୍କ ଉଚ୍ଚଶାସ୍ତ୍ରାଳ୍ୟରେ

ଟାମାର ବ୍ରଜକିତ୍